ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2021 წელი, 7 ივლისი, №7 (6534)

ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან
ფასი 60 თეთრი

გილოცავთ, წმინდა იოანე ნათლისმცემლის შობის დღესწაულს!



დღეს წმ. იოანე ნათლისმცემლის შობა აღინიშნება

7 ივლისს მართლმადიდებლური ეკლესია წმიდა იოანე ნათლისმცემლის შობას აღნიშნავს. იგი უფლის წინამორბედი იყო. ამ დღეს სრულიად საქართველოს ტაძრებში წირვა-ლოცვა აღევლინება.

იოანე უდიდესი წინასწარმეტყველი გახლდათ. მან ძველი აღთქმის ეპოქა დაასრულა და უფლის განკაცება დაამოწმა.

ნათლისმცემელი ბავშობიდანვე უდაბნოში იზრდებოდა, მარხვითა და ლოცვით ემზადებოდა ღვთის სათნო მსახურებისათვის. 30 წლის იოანე მდინარე იორდანეში ნათლავდა იუდეველებს, რომლებიც მის წინაშე ცოდვებს აღიარებდნენ და მოუწოდებდა: „შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათაი“.

„ხოლო თავსა იოვანესა ემოსა სამოსლად მისა თმისაგან აქლემისა და სარტყელი ტყავისაი წელთა მისთა; ხოლო საზრდელად მისა იყო მკალი და თაფლი ველური“ (მათე, 3).

გაგრძელება მე-2 გვ.-ზე

ყვარლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მივმართავთ თხოვნით – დროულად დარეგისტრირდით...

კაცობრიობამ კორონავირუსის მესამე ტალღა როგორც იქნა მოიგერია, შედარებით ნაკლები ლეტალობის შემთხვევებით, რაშიც მოსახლეობის ვაქცინაციამ შეასრულა უდიდესი როლი. ადამიანთა უმეტესობა უკვე სკეპტიკურად აღარ უყურებს ვაქცინებს და მზად არიან ჩაიტარონ ვაქცინაცია.

ეპიდემიოლოგიურ ვითარებაში და ვაქცინაციის მიმდინარე პროცესში გარკვევის მიზნით ყვარლის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის დირექტორს მერაბ სეფაშვილს ვთხოვეთ ამ თემაზე საუბრისთვის გამოენახა დრო.

– ყვარლის მუნიციპალიტეტში ამჟამად როგორი ეპიდემიოლოგიური ვითარებაა?

– ეპიდემიოლოგიური ვითარება სხვა რეგიონებთან შედარებით – ყვარლის მუნიციპალიტეტში დამაკმაყოფილებელია.

– გარდაცვალების შემთხვევა თუ დაფიქსირდა?

– სულ დაფიქსირებულია კორონა ვირუსის დაავადებით გარდაცვალების 15 შემთხვევა, აქედან 2021 წელს გარდაცვლილია 7 პიროვნება.

– ვაქცინაცია რამდენმა ადამიანმა ჩაიტარა და გართულებული მდგომარეობა თუ დაფიქსირდა?

– მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაცხოვრებელთაგან კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინით აცრილითა

გაგრძელება მე-2 გვ.-ზე

აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარებს სეტყვით მიყენებული ზარალი აუნაზღაურდათ

სოფლის განვითარების სააგენტოს პროექტების საოპერაციო დეპარტამენტის უფროსი ნატალია ხარატიშვილი, კახეთის მხარის რწმუნებული ირაკლი შიოშვილი და სადაზღვევო კომპანიის „ალდაგი“ წარმომადგენლები, ყვარლის მუნიციპალიტეტში, სეტყვის შედეგად დაზარალებულ ფერმერ თამაზ გუგოშვილის დაზიანებული ვენახი დაათვალიერეს.

ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფელში, თამაზ გუგოშვილს, 29 აპრილს მოსულმა ძლიერმა სეტყვამ ყურძნის მოსავალის 65% გაუნადგურა. მევენახე ფერმერი სახელმწიფო აგროდაზღვევის ბენეფიციარია. თამაზ გუგოშვილი ზარალის ანაზღაურების თანხას 37,125 ლარს, სადაზღვევო კომპანიისგან მიიღებს. მან 4,5 ჰა ფართობის 5,736 ლარის ღირებულების დაზღვევის პოლისის შესაძენად, ნახევარი თანხა, 2,868 ლარი გადაიხადა, 50 % თანადაფინანსება კი, სახელმწიფოსგან მიიღო.

„ფერმერებს შეუძლიათ კლიმატური რისკებისგან დაიცვან საკუთარი მოსავალი. აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფოს მხრიდან თანამონაწილეობა ყველა კულტურაზე 70%, ხოლო ვაზზე 50%-ია. სადაზღვევო პოლისი ფარავს ისეთ სადაზღვევო რისკებს, როგორიცაა სეტყვა, წყალდიდობა, ქარიშხალი და საშემოდგომო ყინვა. მოვუწოდებ ფერმერებს, ჩაერთონ დაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში და დააზღვიონ მოსავალი“, – განაცხადა სოფლის განვითარების სააგენტოს პროექტების საოპერაციო დეპარტამენტის უფროსმა, ნატალია ხარატიშვილმა.

კახეთის მხარის რწმუნებულის, ირაკლი შიოშვილის განცხადებით, მნიშვნელოვანია ფერმერებმა გამოიყენონ სახელმწიფოს მხარდაჭერა, დააზღვიონ საკუთარი მოსავალი და იყვნენ დაცულები.

აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა, რომელსაც საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნია არაუმეტეს 5 ჰა (ხორბლის მოსავლის დაზღვევის შემთხვევაში, არაუმეტეს, 30 ჰა) ფართობის ჩათვლით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

2021 წლის 31 მაისის მონაცემებით, სახელმწიფო აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში გაცემული პოლისების რაოდენობა 17,286 შეადგენს, დაზღვეულია 17,000 ჰექტარზე მეტი მიწის ფართობი.

ალეკო ქაფიანიძე

ახალსოფელში შიდა საუბნო გზების მოასფალტების და სანიაღვრე არხების მოწყობი სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს!

აღნიშნული პროექტი რეგიონალური განვითარების ფონდიდან ფინანსდება და საერთო ღირებულება 1 558 310 ლარს შეადგენს.

მშენებლებმა პირველი პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები დათქმულ ვადაში შეასრულეს. ამჟამად კი, მეორე პროექტით განსაზღვრული მოასფალტებისა და სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს, რომელიც აგვისტოში დასრულდება.

საბუეში წყლის სათავე-ნაგებობის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულების ფაზაშია

პროექტი რეგიონალური განვითარების ფონდიდან ფინანსდება და სრული ღირებულება 470 800 ლარს შეადგენს.

მშენებლები იმედოვნებენ, რომგანსაზღვრულ ვადაში – აგვისტოს თვეში სარეაბილიტაციო სამუშაოებს დაამთავრებენ. საბუის, გრემისა და ენისლის მოსახლეობისათვის სასმელი წყლის მიწოდება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება.

დღეს წმ. იოანე ნათლისმცემლის შობა აღინიშნება

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

მრავალი მხრიდან მოდიოდნენ იოანე წინასწარმეტყველის სიტყვების მოსასმენად. მას დიდ პატივს სცემდნენ. წმიდანი ხალხს იესოსთან შესახვედრად ამზადებდა. იოანემ მისკენ მოსანათლად მიმავალი უფალი შორიდანვე იცნო, თავმდაბლობით წარსდგა მის წინაშე და უთხრა: „მე მიჭმს შენ მიერ ნათლისღება და შენ ჩემდა მოხუალ?“ (მთ. 3,14). შემდეგ დამორჩილდა ღვთის ნებას და მონათლა მაცხოვარი სოფლისა და მის თავზე ხელის შეხებით თვითონაც მოინათლა.

იესო ქრისტემ თავად დაამოწმა, რომ „არა აღდგომილ არს ნაშობთაგან დედათაი უფროის იოვანეს ნათლისმცემელისა“, მაგრამ რომ არ ეფიქრათ, იგი ღმერთზე აღმატებულიაო, დაამატა: „ხოლო უმცირესი სასუფეველსა ცათასა უფროის მისა არს“.

იოანე ნათლისმცემელი მოწამეობრივად აღესრულა. მას თავი მოჰკვეთეს.

ღვთისმშობლის შემდეგ იგი უდიდესი მეოხია ღვთის წინაშე. წმიდა იოანე არის მოძღვარი სინანულისა.

იოანე ნათლისმცემლის ხსენების დღეებია: ნათლისღება – 19 იანვარი, შობა – 7 ივლისი და თავის კვეთა – 11 სექტემბერი.

თეა სულაბერიძე
კარიბჭე

ყვარლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მივმართავთ თხოვნით – დროულად დარეგისტრირდით...

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

რაოდენობა ძნელი დასადგენია, რადგან მოსახლეობის გარკვეული ნაწილი დარეგისტრირდა და აიცრა საქართველოს სახვადასხვა ქალაქში.

რაც შეეხება ყვარლის ევექსის კლინიკას, სულ აცრილია – 825 პიროვნება, აქედან სინოფარმით – 509, სინოვაკით – 316. სინოფარმით აცრისას მსუბუქი გართულების ორი შემთხვევა გამოვლინდა, ექიმებთან კონსულტაციის შემდგომ პაციენტების მდგომარეობა ოცდაოთხ საათში გაუმჯობესდა.

– ვაქცინაციის მსურველებმა რეგისტრაცია როგორ უნდა გაიარონ?

– ვაქცინაციის მსურველებმა რეგისტრაციისათვის უნდა მიმართონ ჯანდაცვის სამინისტროს ვებგვერდს: booking.moh.gov.ge, სადაც მითითებულია საქართველოში შემოსული ყველა ვაქცინის დასახელება და საიდანაც უნდა აირჩიონ სასურველი. შემდეგ უნდა აირჩიონ რეგიონი, მუნიციპალიტეტი, სადაც სურთ აცრის ჩატარება და მიჰყვნენ მითითებებს.

– ივლისის თვიდან თუ იქნება შესაძლებელი ვაქცინაციის ყველა მსურველის მოთხოვნა დაკმაყოფილდეს?

– სავარაუდოდ, ივლისის დასაწყისიდან უნდა მივიღოთ სხვადასხვა სახეობის ვაქცინა, მათ შორის ფაიზერის ვაქცინაც, და შესაძლებელი იქნება ყველა მსურველის დაკმაყოფილება.

ტესტირებას რაც შეეხება: სჯც-ში 2021 წელს ტესტირებულია 7399 პიროვნება, აქედან სწრაფი ტესტით – 6133, პჯრ – 1266.

სულ დადებითი შემთხვევების რიცხვია – 1296.

– ვაქცინაციის სწრაფი ტემპით წამართვისთვის რამდენი პუნქტი იმოქმედებს ყვარლის მუნიციპალიტეტში?

– დღეისათვის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს კორონავირუსის საწინააღმდეგო ამცრელი ერთი კაბინეტი, უახლოეს პერიოდში მას დაემატება კიდევ სამი კაბინეტი, ერთი ყვარლის „ევექსის“ კლინიკაში, ასეთი კაბინეტები იფუნქციონირებს სოფელ ახალსოფლის და სოფელ შილდის ამბულატორიებში, ისე, რომ არავითარი დაბრკოლება არ იქნება აცრების დროულად წარმართვისათვის. ყვარლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მივმართავთ თხოვნით – დროულად დარეგისტრირდით, ჩაიტარეთ ვაქცინაცია, რათა ეპიდვითარება გავაუმჯობესოთ და დავამარცხოთ სასტიკი ვირუსი.

ესაუბრა
ალექსანდრე გიგილოშვილი

„მზარდი ტენდენცია აშკარად შეინიშნება...“ – მაია ბუწაშვილი „მეოთხე ტალღისა“ და ეპიდვითარების შესახებ

ინფექციონისტი მაია ბუწაშვილი მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე არსებული ეპიდვითარება საგანგაშო არ არის, თუმცა „მზარდი ტენდენცია აშკარად შეინიშნება...“ – მაია ბუწაშვილი „მეოთხე ტალღისა“ და ეპიდვითარების შესახებ.

ინფექციონისტი მაია ბუწაშვილი მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე არსებული ეპიდვითარება საგანგაშო არ არის, თუმცა, რეალურად, კორონავირუსით ინფიცირებულთა რაოდენობა მკვეთრად იზრდება. როგორც მან „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, უნდა გააქტიურდეს ვაქცინაციის პროცესი და მოქალაქეებმა რეგულაციები დაიცვან.

„ვითარებას საგანგაშოს ჯერ ვერ დავარქმევთ, თუმცა მზარდი ტენდენცია აშკარად შეინიშნება. ჯერჯერობით, „მეოთხე ტალღაზე“ არ ვსაუბრობთ იმიტომ, რომ ამ ეტაპზე „მესამე ტალღის“ მიმდინარეობის პროცესში ვართ, რომელიც დაახლოებით თანაბარ ტენდენციას იჩენს. პროგნოზორების გაკეთება, ზაფხულის ბოლოსკენ და შემოდგომით რა იქნება, ძალიან რთულია, იმედია, მანამდე უფრო გააქტიურდება ვაქცინაციის პროცესი და შემთხვევების მკვეთრი აღმავლობა არ გვექნება“, განაცხადა ბუწაშვილმა.



მისი შეფასებით, რეგულაციების მოხსნა არსებულ ეპიდვითარებას დრამატულად ვერ შეცვლის.

„არ მგონია, რომ „კომენდანტის საათი“ საპრეზენტაციო იყო იმ სახით, როგორც იყო. არ მგონია, რომ მისმა გაუქმებამ რაიმე დრამატულად შეცვალოს. რაც შეეხება გარე სივრცეებში პირბადის ტარებას, ამ კლიმატურ პირობებში ფაქტობრივად გაუსაძლისი გახდა და ადამიანები აღარ იცავდნენ მისი მოხმარების წესს, თუ ეკეთათ პირბადე, სრულიად შეუფერებელი იყო იმიტომ, რომ ხშირად არ იცვლიდნენ. ამიტომ, ვფიქრობ, გარე სივრცეში პირბადის გაუქმებაც ლოგიკური იყო“, – განაცხადა ბუწაშვილმა.

ინფექციონისტი მოქალაქეებს რეკომენდაციით მიმართავს, შენობის შიგნით პირბადე გამოიყენონ, ხოლო გარე სივრცეში, სადაც დიდი თავყრილობების გამო, დისტანციის დაცვა შეუძლებელია, ასევე ატარონ პირბადე.

„მთავარია, რომ რაც შეიძლება ნაკლები თავყრილობები იყოს, ხალხმა დისტანცია დაიცვას და ამ მხრივ ზედამხედველობაც გაძლიერდეს.

შენობის შიგნით აუცილებლად უნდა იყოს პირბადე გამოყენებული და გარე სივრცეშიც, თუ დისტანციის დაცვა შეუძლებელია და ადამიანების დიდი რაოდენობა იყრის ერთად თავს. უნდა გვახსოვდეს ის, რომ ყურადღება არ მოვადუნოთ, კორონავირუსი ისევ ადგილზეა“, – განაცხადა ბუწაშვილმა.

ambebi.ge

საინტერესო კომენტარი სოციალური ქსელიდან

თემო: გეტყვით, მე ექიმი ვარ, რეანიმატოლოგი. არაერთი პაციენტს ვუმკურნალეთ (კოვიდდაავადებულებს) პანდემიის დროს. თვითონაც მძიმედ გადავიტანე ეს დაავადება. მქონდა 16ქ პნევმონია, ანუ ფილტვის ქსოვილის 2/3 დაზიანება. ამიტომ კარგად ვიცი რა უბედურება მოაქვს ამ ინფექციას. ის რაც ბლოკავს ორგანიზმში კორონავირუსის უკონტროლო ზრდას (ციტოკინები), შემდეგ თვითონ ხდება ფილტვის ქსოვილის დაზიანების ერთერთი უმთავრესი ფაქტორი მომატებული თრობოემბოლიზმის გამო, სწორედ ამაშია აღნიშნული დაავადებისა და მისი შემქმნელის მზაკვრობა. ეს განსაკუთრებით მკვეთრად გამოიხატება 55-70 წლის ასაკის მქონე პაციენტებში. ისიც იცით, რომ უპირატესად ამ ასაკში აღწევს ადამიანი გონებრივი და საზოგადოებრივი განვითარების მაქსიმუმს, როგორც წინაპრები იტყოდნენ, სიბრძნეს. სიკვდილიანობა აქ გაცილებით მაღალია, ვიდრე სხვა ასაკობრივ ჯგუფში. პირველ რიგში მათ უნდა გაიკეთონ აცრა, თუ არ გადაუტანიათ ეს ინფექცია. ხალხო, არც იფიქროთ, ნუ უსმენთ იმ მედიცინის მუშაკებს ვინც უარყოფს აცრის აუცილებლობას. ერთადერთი უკუჩვენება მძიმე ალერგიული ანამნეზია და სხვა არაფერი. ვაქცინაცია ეთადერთი შესაძლებლობაა ინფექციის აცილების, სანამ არ შეიქმნება ანტივირუსული პრეპარატი. დაავადება ზოგჯერ ხდება უკონტროლო, და მთავრდება ტრაგედიით. წამოუდგენელი უბედურებაა ექმიმისთვის უმწეობის შეგრძნება. ადამიანს სუნთქვა უნდა და ვერ სუნთქავს. ვერ ეხმარები, თან იცი, რომ აპარაული სუნთქვა ხშირად განაჩენია, ვიდრე მკურნალობის მეთოდი. გაუფრთხიდით თავს!

მოდერნას ვაქცინა, კორონავირუსის „დელტა“ ვარიანტის წინააღმდეგ ეფექტიანია

კომპანია „მოდერნას“ მიერ ჩატარებულმა ლაბორატორიულმა კვლევამ აჩვენა, რომ მათ მიერ შექმნილი კოვიდ-19-ის ვაქცინა „დელტა“ ვარიანტის წინააღმდეგაც ეფექტიანია, – ინფორმაციას Reuters-ი კომპანიაზე დაყრდნობით ავრცელებს.

მათივე ცნობით, მეცნიერებმა კვლევა 8 ადამიანის სისხლის ნიმუშზე ჩაატარეს და ნიმუშები ამ ადამიანების მიერ ვაქცინის ორივე დოზის მიღებიდან ერთი კვირის შემდეგ აიღეს.

აღმოჩნდა, რომ „მოდერნას„ვაქცინა ბევრად უფრო ეფექტიანი იყო „დელტა“ ვარიანტის საწინააღმდეგო ანტისხეულების წარმოქმნის კუთხით, ვიდრე სამხრეთ აფრიკაში პირველად გამოვლენილი „ბეტა“ ვარიანტის წინააღმდეგ.

„ახალი მონაცემები დამაიმედებელია და გვიმტკიცებს რწმენას, რომ „მოდერნას „კოვიდ-19“-ის ვაქცინა ახლად გამოჩენილ ვარიანტების წინააღმდეგაც გააგრძელებს ჩვენს დაცვას“, – აღნიშნა კომპანიის აღმასრულებელმა დირექტორმა სტეფანი ბანცელმა.

ambebi.ge



მილოცვა ალექსანდრე მოროზოვს

ჩვენო უახლოესო მეგობარო, გულითადად გილოცავთ იუბილეს,

გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, წარმატებებს და ბედნიერ მომავალს

შენს ლამაზ ოჯახთან ერთად.

გვეამაყება, რომ შენი სახით სახელოვანი მეგობარი გვყავს,

მოუთმენლად გელით ყვარელში.

პატივისცემით: ვიტალი მირინაშვილი, ოთარ ჩიხიაშვილი, პაატა ბერიაშვილი

„ვარ საქართველოს გადაღლილი ჭირისუფალი, უქართველებო საქართველოს ვტირი მე“

ერთ-ერთი არქეოლოგიური გათხრებისას საფლავის ქვაზე ნახეს წარწერა: „დედაჩემს 18 შვილი ჰყავდა, მე – 19, შენ? – ასინეთ შავერდაშვილი“, რამაც 12 შვილის და 12 შვილიშვილის დედას და ბებიას ორგანიზაცია „მრავალშვილიანი დედების“ დამფუძნებელს, მწერალთა კავშირის წევრს, პოეტ ქალბატონ ნინო ბზვანელს ეს ლექსი დაანერინა.

„ჩემო ასინეთ, გაგვჭირვებია სამშობლო ახლა, მომრავლებულა ჩვენს ბუდეში გუგულის კვერცხი, ლეგიონებად უსჯულონი შემოგვესია, აბორტზე დედამ უხვად, უხვად გაიმეტა იუდას ვერცხლი, ო, საქართველოვ, ასინეთი გვინდა რამდენი, ის შემართება დაიკარგა, არ ექნება ალბათ ასში ერთს, ვარ სქართველოს გადაღლილი ჭირისუფალი, უქართველებო საქართველოს ვტირი მე“. ამ ერთ პატარა ლექსში ყველაფერია ნათქვამი, – სამშობლოდან გადახვეწილ ქალებზე, მამაკაცებზე და იმ გაჭირვებულ ოჯახებზე, რომელთაც ერის გამრავლებაზე „უარი თქვეს“ და ემიგრანტებად დარჩნენ უცხო ქვეყნებში. ახლა კი პანდემიამ მოიცვა მსოფლიო, უარესი... არადა, სწორედ ამ დროს, ამ ეტაპზე, როცა ამდენი ხალხი შეეწირა ეპიდვითარებას, თუ არ გამოვრიცხავთ მეორე მსოფლიო ომს, ერის გამრავლება ჩვენს ქვეყანაში, ისედაც მცირერიცხოვან ქვეყანაში ისეა საჭირო, როგორც არასდროს;

ამ თვალსაზრისით საუბარი ჩავიწერეთ ყვარლის ყოფილი მესამე საშუალო სკოლის გერმანული ენის პედაგოგთან, მრავალშვილიან ქალბატონ ეკა ამირანაშვილთან.

– ქალბატონო ეკა, ხშირად გვითქვამს, რომ ერთი შვილის გაზრდას ორ ადამიანზე მეტი ხელი სჭირდებაო. თქვენ როგორ შეძელით, მარტოს მოგიხდათ ოთხი შვილის გაზრდა თუ გეხმარებოდნენ?

– რა თქმა უნდა ოჯახის დახმარებით შევძელი, – ბავშვების გაზრდა და აღზრდა ხომ ნამდვილად ძალიან შრომატევადი და საპასუხისმგებლოა. ბავშვის ზნეზე ბევრი რამაა დამოკიდებული. არსებობენ დამყოლი, მშვიდი ბავშვები და აგრეთვე არიან დაუმორჩილებელი, ძალიან ენერგიული და ცელქი ბავშვები. მეორე პირველთან შედარებით მეტ ენერგიას მოითხოვს.

ჩემს შემთხვევაში ბავშვებს შორის მცირე ასაკობრივი შუალედია და აღნიშნულს თუ დაურთავთ, იმ ფაქტს, რომ ოთხივე მათგანი 90-იანის ბავშვები არიან... რა გითხრათ დღევანდელი გადმოსახედიდან, უზარმაზარი ჯაფაა, რომელიც ცხადია, შემდეგ აისახა ჯანმრთელობაზე, ენერგიაზე... მაგრამ როცა მათ როლს დღევანდელ ჩემს ცხოვრებაში ვაცნობიერებ, ძალიან ბედნიერი და ღვთის მალდლობელი ვარ.

– არიან ოჯახები, რომლებიც სიღარიბეში ცხოვრობენ და მრავალ შვილს უზრდიან სამშობლოს, ვიდრე ის ოჯახები, რომლებიც ფუფუნებაში ცხოვრობენ და ერთი და ორი შვილის იმედად რჩებიან. რამდენად მისაღებია ეს თქვენთვის?

– ვფიქრობ, რომ ყველას თავისი ცხოვრება აქვს და ისე უნდა იცხოვროს თვითეულმა მათგანმა, როგორც ესიამოვნებათ, მათი გადასაწყვეტია. რაც შეეხება ამ კონტრასტს, მინდა გითხრათ, რომ ეს მგონი დღევანდელობაა, ადამიანები მეტ დროს უთმობენ საკუთარ თავს, ვიდრე იდიალებს, ოჯახს. იმდენად არიან ყოველდღიურობის ფერხულში ჩაბმულნი, რომ ძირეული და ყველაზე მნიშვნელოვანისთვის არ რჩებათ დრო. ზოგი საერთოდ ვერ, ზოგიც გვიან აცნობიერებს, რომ ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი გამოტოვეს.

ცხადია, ყოველთვის არსებობს უამრავი მიზეზი, რომელთა არგუმენტებად გამოყენებასაც ცდილობენ, ზოგს მატერიალური პრობლემები აქვს, ზოგს – სოციალური, ზოგს დროის და ა.შ. მაგრამ ცხადია, ეს მათი ცხოვრებაა.

– ვიცით, რომ თქვენი ღირსეული მეუღლე ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან, როგორ შეძელით მარტომ ოჯახის გაძღოლა?

– სოსოს გარდაცვალება ყველაზე რთული და მძიმე პერიოდია ჩვენი ოჯახის ცხოვრებაში. აღნიშნულმა წარუშლელი კვალი დაგვასვა მთელ ოჯახს. ორი უსუსური ქალი, მე და ჩემს დედამთულს ვგულისხმობ, და ოთხი მოზარდი, უფროსი იყო მხოლოდ 18 წლის. ორი სტუდენტი და ორი სკოლის მოსწავლე, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი 90-იანები მაშინ დადგა. საშინელი სულიერი ტკივილი მძიმე მატერიალური რეალობა. გარშემო თითქოს ცდილობდნენ დახმარებას, გვეხმარებოდნენ კიდეც, მაგრამ მალევე გავაცნობიერეთ, თუ გვინდოდა დაგვეძლია ეს ყველაფერი, თვითონ უნდა მოგვეხერხებინა. ამიტომ ექვსივე რაღაც განუყოფელ ერთობად ვიქეცით, ვამხნევებდით ერთმანეთს, ვანუგეშებდით, ვაიმედებდით, მხარს ვუჭერდით. დავიჯერეთ, რომ ერთად ამას დავამარცხებდით, თუ თავდაუზოგავად ვიშრომებდით. მთავარია გაგვეძლო, მაქსიმალურად ვცდილობდი ბავშვების განათლებაზე და სწავლაზე ვყოფილიყავი მიზანმიმართული. ასე რამოდენიმე წელი გაგრძელდა. შემდეგ გოგოებმა სწავლა დაამთავრეს და თავად დაიწყეს კარიერის კეთება და ფეხზე დადგომა. წლიდან – წლამდე მცირე, მაგრამ მყარი ნაბიჯით ვძლიერდებოდით, თან ერთმანეთს ვამხნევებდით, ვაიმედებდით, გვერდში ვედექით, ერთმანეთის წარმატებისთვის ვზრუნავდით და წარუმატებლობას განვიცდიდით. დღესაც ასე ვართ, ჩვენ ყველა ერთის და ერთი ყველას ცხოვრებით ვცხოვრობთ.

– როგორც ზემოთ აღვნიშნე, ეკონომიური მდგომარეობის გამო ქალი თუ კაცი ემიგრაციაში წავიდა სამუშაოდ და ერთი თუ ორი შვილის ანაბარა დარჩა, ზოგმა ბებიების ანაბარა დატოვა შვილები, ზოგმაც „მთვარე დატოვა სახლის დარაჯად“, საქართველო კი თანდათან დაცარიელდა. რას გვეტყოდით ამის შესახებ?

– სამწუხაროა, მაგრამ რეალობაა. იცით, შეუძლებელია სასოწარკვეთილი, იმედ დაკარგული ადამიანის განსჯა, ან მისი ლოგიკის რაციონალურად ახსნა. ხშირად წასვლა მათ ერთერთ გამოსავლად მიაჩნიათ გადარჩენისთვის. ცხადია, თითოეული შემთხვევა რამდენიმე რთული სოციალური, მატერიალური თუ სხვა ფაქტორითაა დატვირთული. მაგრამ ჩემთვის გაუგებარია უმრავლეს შემთხვევაში, ბავშვები მოზარდობის ასაკამდეც არ არიან მიღწეულნი და დედის, მამის, ან ორივესგან მოშორებულები რჩებიან. ჩვენ, სამწუხაროდ გვავიწყდება, რომ ბავშვებს გაზრდასთან ერთად აღზრდაც სჭირდებათ.

– თქვენი ახალგაზრდობის პერიოდი ყვარლის მესამე საშუალო სკოლასთანაა დაკავშირებული, ალბათ ძნელი იყო სკოლასთან განშორება, რაც ყველა პედაგოგისთვის ერთ-ერთი მტკივნეული პროცესია. რას გაიხსენებდით, მკაცრი მასწავლებელი იყო ქალბატონი ეკა? რაიმე კურიოზი თქვენი პედაგოგიური მოღვაწეობიდან.

– ჩემს ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანი იყო ყვარლის მესამე საშუალო სკოლა. იცით, თითქოს ერთი პატარა, არაფრით გამორჩეული სკოლა, რომელიც აღმოჩნდა ყვარლის სინამდვილეში საკმაოდ წარმატებული. შედეგებით რომ ვიმსჯელოთ, ბევრი ჩვენი სკოლადამთავრებული გამოირჩეოდა შემდგომში უმაღლესი სასწავლებლების მისაღები გამოცდების კარგი შედეგებით და კარგი ზოგადი განათლებით. გარდა ამისა, ბავშვებთან ურთიერთობა, მათზე ზრუნვა, მათი ლამაზი სამყაროს ნაწილად ყოფნა სასწაულ ენერგიასა და ძალას მაძლევდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამასთან მომინია გამოთხოვება, ეს მაშინ, როცა ყვარლის მე-3 საშუალო სკოლა შეუერთდა ყვარლის მეორე საჯარო სკოლას, რამაც ძალიან დიდი სიკარიელე დამიტოვა. ჩემმა აღზრდილებმა უფრო კარგად იციან რამდენად მკაცრი იყო ეკა მასწავლებელი.

– დღეისათვის რა საქმიანობას ეწევა თქვენი ოთხი შვილი?

– უფროსი – ანა, ფინანსისტია და კერძო სექტორშია დასაქმებული, მეორე, ნაზი კვების პროდუქტების ტექნოლოგია და თავისი პროფესიით მუშაობს სურსათის ეროვნულ სააგენტოში. თეონა ყვარლის მუნიციპალიტეტის თანამშრომელია და ორი უსაყვარლესი ჩემი შვილიშვილის დედაა, უმცროსი ნატო, ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამშრომელია. წლების განმავლობაში პარალელურად პროფესიით მუშაობდა არასამთავრობო ორგანიზაციებში, ბავშვთა ფსიქოლოგია, მაგრამ დროის უქონლობის გამო შეწყვიტა ფსიქოლოგიური პრაქტიკები. ოთხივე ერთად კი საოჯახო, აგრო და სხვა ბიზნესში არიან ჩართულნი.

– რა განსხვავებას ხედავთ დედობასა და ბებიობას შორის?

– ვფიქრობ, ასაკი და გამოცდილება ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ბებიასა და დედას შორის. დედობის ასაკში მეტად დაძაბული ხარ, მეტად მობილიზებული, რომ რამე არ გამოგრჩეს, რამე არ შეგეშალოს, ზოგჯერ გადაჭარბებულადაც. პასუხისმგებლობა მეტია, ბებიობის ასაკში უკვე ბევრი რამ გვაქვს გადაფასებული და კოლოსალური ცხოვრებისეული გამოცდილება გვაქვს. ამ გადმოსახედიდან უფრო თავდაჯერებული ხარ და შესაბამისად მეტად მშვიდიც. დიდი დრო გრჩება სიყვარულისთვის, თითქოს ბავშვები და ბებია-პაპები ერთმანეთს საჭიროებენ, ისინი ახალისებენ და აფერადებენ ერთმანეთის ცხოვრებას.

– შვილები და შვილიშვილები, რომლებიც ცხოვრებას გილამაზებენ.

– როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვენ ცხოვრებამ ერთმანეთს მჭიდროდ დაგვაკავშირა, ჩვენ ერთმანეთის ცხოვრების აუცილებელ შემადგენლებად ვიქეცით. მიუხედავად ამისა, სულ გვქონდა ერთმანეთის დანაკლისი, რაც პანდემიით გამოწვეულმა თვითიზოლაციამ და „სახლში დარჩის“ დევიზმა თითქოსდა შეგვივსო. ყველამ ერთად მოვიყარეთ თავი ჩვენს სახლში და ეს წელიწად ნახევარი ერთად გავატარეთ, რაც საოცარი სიხარულისა და ბედნიერების მომტანია. პანდემიამდეც, მიუხედავად სასწაული დროის უქონლობისა, გოგოებიც და მეც ვცდილობდით მეტი დრო გაგვეტარებინა ერთად, ვცდილობდით ერთად გაგვეტარებინა შვებულება და დღესასწაულები. პატარების დაბადებამ საერთოდ შეცვალა ჩვენი ცხოვრება, მეტად მამაცები, თავდაჯერებულები და ბედნიერები ვართ, ბევრი რამის გადაფასებას იწყებ მაგ დროს ადამიანი. მათთან ერთად დროის გატარება დიდი სიამოვნებაა ყველა ჩვენგანისთვის.

– თქვენი აზრით რაშია გამოსავალი, რომ ახალგაზრდა ოჯახებმა იფიქრონ მრავალშვილიანობაზე, რას ეტყოდით და რას ურჩევდით მათ?

– იცით, ძნელია, ადამიანმა საკუთარი ცხოვრებიდან სხვას რამე ურჩიო. მაგრამ ერთის თქმა ჩემი ცხოვრებიდან შემიძლია – ბევრი უბედურებისა და ტრაგედიის ატანა და გადატანა მომიხდა ცხოვრების განმავლობაში. ერთ-ერთი ის ძირითადი ძალა, რაც ასე მჭიდროდ მაკავშირებდა სიცოცხლესა და ცხოვრებასთან, ეს ჩემი შვილები იყო. ოთხივე ძლიერი და დამოუკიდებელი პიროვნებაა და როცა ვაცნობიერებ, რომ მე მათი დედა ვარ, ძალიან ამაყი და თავდაჯერებული ვხდები. ყველაფრის მიუხედავად მე ეს შევძელი და ახლა ძალიან ბედნიერი ვარ. ხშირად გოგოებსაც უთქვამთ – შენ და მამა ცხოვრებაში ჩვენთვის უკეთესს ვერაფერს შექმნიდით, თქვენ ყველაზე მნიშვნელოვანი – ერთმანეთის სიყვარული მოგვეცითო. ასე, რომ სადაც სიყვარულია, იქ ყველაფერი მეორე ხარისხოვანია, მისით ყველაფერს დავძლევთ.

როგორც ჩვენი დიდი მამულიშვილი ილია იტყოდა: – „გაზრდა შვილისა... ისეთი მოვალეობაა, რომ სხვა ყველაფერი ამას უნდა შევწიროთ, ამას უნდა შევალიოთ, სხვაგან და სხვებში უნდა დავიკლოთ და ყოველივე ნანავ-ნადაგი, ყოველივე ამაგი და უფროს – ერთი დრო ამას უნდა შევახმაროთ“.

ნამდვილად რომ ასეა, მეტი დრო უნდა დავუთმოთ მათ, ვზარდოთ შვილები და შვილიშვილები, დადგება დრო, ეკონომიურადაც მოვძლიერდებით, აღარ დავიქსაქსებით უცხო ქვეყნებში და მჯერა, „უქართველებო საქართველო არ იქნება და სატირალიც აღარ გაგვიხდება“.

გმადლობთ.

ესაუბრა
დალი ტატულიშვილი

ვაქცინები – რეალობა და მოლოდინები

კორონავირუსის პანდემიამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიოს ყველაზე დიდი გლობალური საფრთხე შეუქმნა. მართალია, შუა საუკუნეების შავი ჭირის და ყვავილის და მე-20 საუკუნის ესპანური გრიპის პანდემიებისაგან განსხვავებით კორონავირუსი ისეთი შემმუსვრელი პოტენციალით არ გამოირჩევა, მაგრამ ამ პანდემიამ მკვეთრი დარტყმა მიაყენა გლობალიზირებული მსოფლიო საზოგადოებრივი ცხოვრების უამრავ სექტორს. გარდა იმისა, რომ 1 წლის განმავლობაში მსოფლიოში 79 მილიონი ადამიანია ინფიცირებული და მათგან 1.7 მილიონი გარდაიცვალა, ვირუსმა მოიტანა აქამდე არნახული ზიანი ეკონომიკის, უსაფრთხოების, გლობალური პოლიტიკის, განათლების, სოციალური დაცულობის, ფსიქიური ჯანმრთელობის კუთხით. ყველაზე მძიმე ასატანი გახდა არა მარტო ინფიცირების და გარდაცვალების საფრთხე, რომელიც მთავრობებს აიძულებს მოსახლეობის დასაცავად განმეორებითი შეზღუდვები, კარანტინი/ლოქდაუნები, საგანგებო მდგომარეობები დააწესოს, რასაც მძიმე ეკონომიკური პრობლემები, უმუშევრობა და უიმედობა მოსდევს, არამედ მილიარდობით ადამიანის ხანგრძლივად ყოფნა გაურკვევლობაში – გეგმების, პროექტების, ადამიანური ოცნებების მსხვრევა... ჯერ კიდევ მაისის ბოლოს აშკარა გახდა, რომ მოგვიწევდა ვირუსთან თანაცხოვრება კარგა ხნის განმავლობაში, მაგრამ ზაფხულში მიღებულმა მოკლევადიანმა ამოსუნქთვამ მძიმე შედეგი მოიტანა – მილიონობით ადამიანმა ჩათვალა, რომ ძველი დრო დაბრუნდა, ვირუსი დამარცხებულია და ხელი აიღო აუცილებელი რეკომენდაციების – პირბადის, დისტანცირების, ჰიგიენის წესების დაცვაზე – შედეგმა არ დააყოვნა. შემოდგომის მეორე ტალღა არანაკლებ მძიმე გამოდგა და ისევ დაგვაბრუნა „ახალ ნორმაზე“ – ისევ ლოქდაუნები, ისევ კომენდანტის საათები, დახურული მაღაზიები, გაჩერებული ტრანსპორტი, გაზრდილი უმუშევრობა, მომაბეზრებელი იზოლაცია და ქრონიკული სტრესი... ისევ ის მიუჩვეველი, რომლის მიჩვევა გვიწევს, თუ არ გვინდა, რომ სიკვდილობის ახალი ტალღები ვნახოთ... და ისევ ის დაბრუნებული გაურკვევლობა – როდის დაბრუნდება ლაღი და ბედნიერი ცხოვრება...

ე.წ. პოპულაციური („ჯოგური“) იმუნიტეტი რამდენიმე წლის განმავლობაში მაინც მიუღწევლად იქნა ჩათვლილი და ამ თეორიის ყველაზე მედგარი დაცველები – შვედები ბოლო ხანებში ამტკიცებენ, რომ მათი მიზანი არც იყო პოპულაციური იმუნიტეტი, არამედ – მკაცრი შეზღუდვების ნაცვლად მოსახლეობის გაცნობიერებული არჩევანის წახალისება. მეორე მხრივ, რამდენიმე პოტენციურად დამაიმედებელი სამკურნალო წამალი რეალობაში არ აღმოჩნდა დამაჯერებლად და სტატისტიკურად სარწმუნოდ ეფექტური, ნორმალურ ცხოვრებასთან დაბრუნების ერთადერთი იმედი ახლა ეფექტური, უსაფრთხო და ხელმისაწვდომი ვაქცინაა...

მძიმე პანდემიური წლის ბოლოს, წინასაშობაოდ ყველაზე დამაიმედებელი ამბები მართლაც ვაქცინების მწარმოებელი კომპანიებისაგან მოვიდა. ამერიკასა და ევროპაში დაწყებული ვაქცინაციის კამპანია ადამიანების და ქვეყნების სანუკვარ იმედად ქცეულ ნორმალური ცხოვრების დაბრუნების შანსს გვაძლევს. ამავდროულად, ეს პროცესი, რომელიც საქართველოში უახლოეს თვეებში მოაღწევს, ბევრი ნიუანსის და კონკრეტული ამოცანების გათვალისწინებას და სათანადო ნაბიჯების სწორად დაგეგმვას მოითხოვს.

ვაქცინის შექმნის სისწრაფე

მსოფლიოში აქამდე ყველაზე მოკლე ვადაში შეიქმნა ყბაყურის ვაქცინა, რასაც 4 წელი დასჭირდა. ამჟამად კორონავირუსის გენომის უმოკლეს ვადაში გაშიფვრის გარდა, ვაქცინების შემუშავების არნახულ სისწრაფეს უნდა ვუმადლოდეთ იმას, რომ SARS-ის და MERS-ის შემდეგ კორონავირუსის ვაქცინის სამუშაოები უკვე მიმდინარეობდა. საბოლოო ჯამში ეფექტური ვაქცინის შექმნისათვის ვირუსის გენომის შექმნიდან პირველი პაციენტის ვაქცინირებამდე მხოლოდ 332 დღე გავიდა! მაშინ, როცა თუ დღემდე არსებულ გამოცდილებას გავითვალისწინებდით, კოვიდ-ის ვაქცინის შექმნის თარიღი სავარაუდოდ, 2033 წელი უნდა ყოფილიყო. შეიძლება ითქვას, რომ არა მარტო პანდემიის პერიოდში, არამედ ზოგადად მედიცინის ისტორიაშიც, ეს არის სწორედ ყველაზე მნიშვნელოვანი და იმედია, გადამწყვეტი, მიღწევა, რამაც წესით მსოფლიოს უნდა შეაძლებინოს ნორმალურ ცხოვრებასთან თანადათანობით დაბრუნება.

ვაქცინის ტიპები / ინოვაცია

კორონავირუსის წინააღმდეგ ვაქცინები 4 მეთოდის გამოყენებით მზადდება.

1. ტრადიციული მეთოდი – დასუსტებული/ინაქტივირებული ვირუსის გამოყენება იმუნური პასუხის გამოსამუშავებლად. გამოცდილი მეთოდია, თუმცა განსაკუთრებით მაღალი ეფექტურობა შეიძლება ვერ იქნას მიღწეული. ამ მეთოდს ძირითადად ჩინური კომპანიები იყენებენ. დანარჩენი სამი შედარებით ინოვაციური მეთოდი ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტების მიერ წარმოდგენილი იქნა აშშ სენატის სპეციალურ მოსმენაზე 9 სექტემბერს.

2. პროტეინული ერთეულების – ვირუსის რეკომბინანტული ცილის (სპაიკ-პროტეინის) ნაწილის შეყვანა. გამოიყენება ნოვავაქსის და სანოფი-გლაქსოს ვაქცინებში. გამოცდილი (მაგ. B ჰეპატიტის ვაქცინის დროს) და შედარებით უსაფრთხო ტექნოლოგიაა, მაგრამ მეტი დაზუსტება, და შეიძლება, უფრო მრავალჯერადი ვაქცინაცია გახდეს საჭირო. ნოვავაქსის კვლევები გახანგრძლივდა და 2021 წელს დასრულდება, სანოფი-გსკ ვაქცინის შედეგებიც 2021 წლის ბოლოსთვის გადაინია, რადგან ასაკოვან პირებში ეფექტი არ იყო დამაკმაყოფილებელი და კომპანიებმა კვლევების დამატება გადაწყვიტეს.

3. ვექტორული ვაქცინა – კორონავირუსის გენის – ე.წ. წვეტის ცილის (spike protein) გენის მიბმა რომელიმე ვექტორთან (გადამტანთან) – უვნებელ ვირუსთან, მაგალითად რეკომბინანტულ ადენოვირუსთან. გადამზიდავი ვირუსი ახდენს კორონავირუსის სპაიკ ცილის მიტანას და იმუნური სისტემა იწყებს ლიმფოციტების და ანტისხეულების გამომუშავებას. (ოქსფორდი-ასტრაზენეკა, ჯონსონ & ჯონსონი, რუსეთის გამალეას ინსტიტუტი და ჩინური კანსინო).

4. ყველაზე ინოვაციური ტექნოლოგია – ინფორმაციული ანუ მესენჯერ-რნმ

გაგრძელება მე-4 გვ.-ზე

ვაქცინები – რეალობა და მოლოდინები

დასაწყისი მე-3 გვ.-ზე

(მ-რნმ) ვაქცინები. ამ მეთოდით დამზადებულია პფაიზერ-ბიონტექის და მოდერნას ვაქცინები. ამ დროს ორგანიზმშიც შეჰყავთ არა ვირუსი, ან მისი ცილის (სპაიკ პროტეინის) ფრაგმენტი, არამედ მ-რნმ, რომელიც სპაიკ პროტეინის ინფორმაციას შეიცავს. თავად ორგანიზმში იწყება სპაიკ პროტეინის გამომუშავება, რომლის მიმართ ორგანიზმი მერე გამოიმუშავებს იმუნურ პასუხს. აღნიშნული ტექნოლოგია ყველაზე სწრაფია, თუმცა ამ მეთოდით აქამდე არცერთი ვაქცინა არ ყოფილა შემუშავებული.

ეფექტურობა

მაღალი ეფექტურობა (94.5-95%) იქნა ნაჩვენები ორივე მ-რნმ ვაქცინის კლინიკურ გამოცდებში ასტრა-ზენეკას ეფექტურობის მაჩვენებელი 70% აღმოჩნდა.

ასტრაზენეკა-ოქსფორდის ვაქცინა თავიდან ყველაზე პერსპექტიულად ითვლებოდა, რადგან ოქსფორდის უნივერსიტეტის ჯენერის ინსტიტუტიც და ასტრაზენეკაც ძალიან მდიდარი გამოცდილების კომპანიებია და მათ მიერ შემუშავებული ადენოვირუსის პლატფორმაც – ChAdOx მერსის წინააღმდეგ კვლევების დროს იყო შემუშავებული.

ზოგადად, ნებისმიერი ვაქცინის ეფექტურობა სხვადასხვა ფორმით ვლინდება. ვაქცინამ შეიძლება დაბლოკოს

ა) დაავადების განვითარება, ან

ბ) მძიმე ფორმის განვითარება, ან

გ) ინფექციის გადაცემა მესამე პირზე, ან

დ) შეამოკლოს ვაქცინირებულისგან მესამე პირის დაინფიცირების პერიოდი.

ამ ვარიანტებიდან მესამე ფაზის კლინიკური კვლევების საფუძველზე, ჯერჯერობით მხოლოდ ა) და ბ)-ზე შეიძლება საუბარი და პფაიზერის და მოდერნას მაჩვენებლები ძალიან შთამბეჭდავია – 95% და 94.5% დაავადების განვითარების აცილებაში. მძიმე შემთხვევების განვითარების მხრივ მოდერნას დაცვა 100% იყო, ხოლო პფაიზერის – 90%. თუმცა ეს რიცხვები მაინც პირობითია, ინფიცირებისგან დაცვის მაჩვენებელი დროთა განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს – მესამე ფაზის კლინიკური გამოცდების დროს ხომ ადამიანების დაინფიცირება შემთხვევით ხდება და არა წინასწარგამიზნულად, როგორც ცხოველებზე ჩატარებულ ცდებში – ამიტომ ვაქცინირებით რეალურად დაცვის პოტენციალი უკეთ გვეცოდინება, როცა ვაქცინიციიდან მეტი დრო გავა და ვაქცინირებულების ინფიცირებულებთან კონტაქტის რაოდენობა მეტი იქნება, ვიდრე მესამე ფაზის დროს იყო. აღსანიშნავია, რომ თუ ასაკოვან პირებში ვაქცინაციით სიკვდილობის რისკს მნიშვნელოვნად ვამცირებთ, მოზრდილი მოსახლეობის ვაქცინაციით ვამცირებთ როგორც გადაცემის რისკს ასევე ეკონომიკურ დანაკარგებს, ხოლო ახალგაზრდების ვაქცინაციით – გადაცემის რისკს და ხანგრძლივი კოვიდის შემთხვევების მოგვიანებით შედეგებს. ასე რომ, თუ ამჟამად ასაკოვანი და ქრონიკული დაავადებების მქონე პირების ვაქცინაცია გაცილებით მნიშვნელოვანია, გ) და დ) პოტენციური ეფექტის შესახებ ინფორმაციის დაგროვების კვალობაზე გაიზრდება საშუალო ასაკის აქტიური მოსახლეობის ვაქცინაციის დამცველობითი პოტენციალი.

რუსული ვაქცინის – სპუტნიკ V მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ მისი ეფექტურობა ავტორებმა 14 დეკემბრის პრესრელიზით 91.4% გამოაცხადეს, სამეცნიერო სამყაროში ყველაზე მეტი კითხვა არსებობს. ჯერ ერთი, მისი რეგისტრაცია რუსეთმა მე-2 ფაზის შემდეგ მოახდინა, და არა – მესამე ფაზის, რაც მიღებული პრაქტიკის დარღვევაა. რეგისტრაციას წინ უძღოდა პრეზიდენტ პუტინის განცხადება, რომ რუსეთმა პირველმა მოახერხა ეფექტური ვაქცინის შექნა, ამ დროს ვაქცინის მეორე ფაზის გამოცდა მხოლოდ წინა დღით დასრულდა და სულ 76 მოხალისეზე იყო გამოცდილი. მაშინ როცა, მეორე ფაზის წარმატებული დასრულება უკვე მრავალ კომპანიას ჰქონდა გაცხადებული.

დამატებითი კვლევების დასრულებამდე რუსული ვაქცინის გამოყენება მიზანშეწონილია 18-60 წლის პირებში, რომელთაც თანმხლები ქრონიკული დაავადებები არ აქვთ. ეს მაშინ, როცა მსოფლიოში სწორედ ასაკოვანი პირები და ქრონიკული დაავადებების მქონენი ითვლებიან ყველაზე მაღალი რისკის ჯგუფებად და ბრიტანეთში და ამერიკაში პფაიზერის და მოდერნას ვაქცინების აქტიური გამოყენება სწორედ ამ ჯგუფებიდან დაიწყო.

ჩინური კომპანიების მიერ წარმოებული ვაქცინების მეორე ფაზის ეფექტურობის და უსაფრთხოების დამადასტურებელი სტატიები გამოქვეყნდა ივლისში (Cansino), და ოქტომბერ-ნოემბერში (Sinovac და Sinopharm). ეს სტატიებიც „ლანცეტში“ დაიბეჭდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის წამლების რეგულატორი, რომელიც ჯანდაცვის სამინისტროს ნაწილია, აცხადებს, რომ ვაქცინების საბოლოო ნებართვა მხოლოდ წლის ბოლოს – მესამე კლინიკური ფაზის დასრულების შემდეგ – გაიცემა, როცა ვაქცინები გასაყიდად მზად იქნება, თავად ჩინეთში უკვე ივლისიდან მილიონზე მეტ ადამიანს გაუკეთდა ვაქცინები – გადაუდებელი გამოყენებისთვის ავტორიზაციის წესით. უცხოელ მეცნიერებში ეს გაოცებას იწვევს, რადგან ჩინეთმა დიდი ხანია დაასრულა ინფექციის აქტიური ფაზა, ახალი შემთხვევები ძალიან იშვიათად ფიქსირდება და ქვეყანაში აშკარად ვაქცინაციის რაიმე გადაუდებელი აუცილებლობა, თითქოს, არ არსებობს. ჩინეთის ოფიციალური პირების განცხადებით, ვაქცინა ძირითადად უკეთდება მათ, ვინც სამუშაოს ან სწავლის გამო უცხოეთში მიემგზავრება (თუმცა ასეთი მოთხოვნა, ვაქცინების არარსებობის პირობებში, რა თქმა უნდა, არცერთ ქვეყანას არ დაუყენებია). იმ ფონზე, როცა ჩინური სინოფარმის გამოცხადებული წინასწარი ფასი $145-ია, ხოლო ჩინეთის მოქალაქეებისთვის ვაქცინა უფასოა, საზღვარგარეთ გასამგზავრებელი ჩინელები საკმაოდ აქტიურად არიან ვაქცინაციაში „ჩაბმულნი“. ჩინური ვაქცინის გამოყენება გადაუდებელი წესით დაიწყეს ასევე არაბთა გაერთიანებულ ემირატებში, სადაც ეს ვაქცინა გამოცდებს გადის. 9 დეკემბერს ემირატების ჯანდაცვის მინისტრმა გამოაცხადა, რომ სინოფარმის ვაქცინის ეფექტურობა მესამე ფაზის შუა ეტაპზე 86%-ია, იწვევს 99%-ში ანტისხეულების გამომუშავებას, ხოლო საშუალო და მძიმე შემთხვევების პრევენციას 100%-ში. რადგან ვრცელი სამეცნიერო მონაცემები წარმოდგენილი არ ყოფილა, მეცნიერთა წრეებში ეს პრეს-რელიზი დამაჯერებელ მტკიცებულებად არ იქნა შეფასებული.

ეფექტურობის ცალკე მნიშვნელოვანი საკითხია სხვადასხვა ასაკის პირებში ეფექტურობა. ამ მხრივ, ფაიზერს და განსაკუთრებით, მოდერნას ჯერჯერობით უპირატესობა აქვთ.

შეყვანის რეჟიმი

ვაქცინების უმრავლესობას ორჯერადი შეყვანა სჭირდება მყარი იმუნიტეტის მისაღწევად, ერთმანეთიდან 3-4 კვირის ინტერვალით. გამონაკლისია „ჯონსონ & ჯონსონის“ ვაქცინა, რომლისთვისაც ერთჯერადი შეყვანა II ფაზის კვლევებში საკმარის იმუნიტეტს იძლეოდა. მისი მესამე ფაზის კვლევები ხანგრძლივდება, თუმცა ადამიანთა დიდი ჯგუფისათვის ერთჯერადი შეყვანა სერიოზულ უპირატესობად შეიძლება ითვლებოდეს – როგორც ლოჯისტიკური მოსაზრებებით, ასევე თუნდაც არასერიოზული გართულებების ნაკლები რისკით და პაციენტების მხრიდან ყოყმანის ნაკლები აღბათობით. 16 ნოემბერს კომპანიამ განაცხადა, რომ თავის დაზღვევის მიზნით იწყებს ვაქცინის მეორე აცრის გამოყენების კლინიკურ შესწავლასაც, რათა ხანგრძლივვადიანი იმუნიტეტის უზრუნველყოფა უფრო გარანტირებული იყოს.

უსაფრთხოება

ხსენებული ვაქცინების ტიპებიდან ყველაზე ინოვაციური და დღემდე უცნობი – მ-რნმ ვაქცინებია. ხოლო ინაქტივირებული ვაქცინები ყველაზე ტრადიციული ტექნოლოგიაა. შესაბამისად, პირველებთან დაკავშირებით მოლოდინებიც მეტია და გაურკვევლობაც. მოლოდინები მნიშვნელოვანწილად უკვე გამართლდა – მოკლე დროში შემუშავებულ იქნა ორი მაღალეფექტური ვაქცინა,რომელიც ამჯერად ყველაზე მოთხოვნადია მსოფლიოში – ფაიზერ ბიონტექის აცრები უკვე დაიწყო ბრიტანეთსა და ამერიკაშიც.

რაც შეეხება უსაფრთხოებას. CDC განმარტებით, ჯერ ერთი მ-რნმ ტექნოლოგია ძალიან ახალიც არაა – კიბოსსაწინააღმდეგო ვაქცინებში ამ ტექნოლოგიის აპრობირება უკვე 11 წელია მიმდინარეობს. მ-რნმ არ წარმოადგენს ცოცხალ ვირუსს და ამიტომ მას არ გააჩნია კორონავირუსისთვის დამახასიათებელი დამაზიანებელი მოქმედება. მ-რნმ ვაქცინის შეყვანისას ორგანიზმი მხოლოდ ვირუსისთვის დამახასიათებელი წვეტიანი ცილის გამომუშავებას იწყებს. იმუნური სისტემა ამ სამიზნეზე – წვეტიან ცილაზე აწყობს თავისი ბრძოლის სტრატეგიას და თუ უკვე თავად კორონავირუსი მოხვდება ასეთ ორგანიზმში, იმუნური სისტემა მას სრულ მზადყოფნაში ხვდება – ამ დროს პასუხი გაცილებით ზუსტი და სპეციფიურია, ვიდრე ნამდვილ ვირუსზე „სასწავლო პრაქტიკის“ გავლისას. მეცნიერები იმაზეც მიუთითებენ, რომ მ-რნმ არ აღწევს ჩვენი უჯრედის ბირთვში და ამიტომ ვერ მოახდენს გავლენას დნმ-ზე. ვაქცინების გვერდითი ეფექტის გამოვლენა, როგორც წესი, მათი გამოყენების პირველ ორ თვეში ხდება და უკვე საკმარისი მასალა არის დაგროვილი, რაც შეშფოთების საფუძველს არ იძლევა. თუმცა დაკვირვება კიდევ ორი წლის განმავლობაში გაგრძელდება. ამ ეტაპისთვის შედარებით ხშირი გვერდითი ეფექტები იყო მსუბუქი ცხელება, შემცივნება, თავის ტკივილი, კუნთების/სახსრების ტკივილი, ინექციის შემდგომი შესივება, გულისრევა, საერთო სისუსტე. ეს ყველაფერი ჩვეულებრივი მოვლენაა ნებისმიერი აცრის დროს და როგორც წესი 1-2 დღეში გაივლის.

ფაიზერის ვაქცინის პირველივე დღეებში გამოვლინდა მწვავედ განვითარებული ალერგიის ოთხი შემთხვევა (ათასობით ვაქცინირებულთა შორის), რაც მოსალოდნელი იყო. გამოხატული ალერგიის მქონე პირებს მიეცათ რეკომენდაცია, რომ არ გამოიყენონ აღნიშნული აცრა. ვაქცინირებული პირი კიდევ 15 წუთი (ხოლო ალერგიული ანამნეზის მქონე პირი – 30 წუთი) უნდა იმყოფებოდეს დაკვირვების ქვეშ.

წარმოების მოცულობა

ეს ის პრობლემაა, რომელზეც ბოლო დრომდე სერიოზული აქცენტი არ კეთდებოდა, თუმცა, როდესაც ვაქცინების მასიური განაწილება დაიწყო, პრობლემები შეიძლება უფრო მეტად გამოიკვეთოს. მაგალითად, პფაიზერს ორი თვის წინ ამერიკის მთავრობისათვის მიცემული პირობით 100 მილიონი დოზა უნდა მიეწოდებინა წლის ბოლომდე. სწორედ იმ დღეს, როცა ვაქცინის ეფექტურობის მონაცემები გააჟღერეს, პფაიზერის ხელმძღვანელობამ ობიექტური პრობლემების გამო ეს მოცულობა 2-ჯერ – 50 მილიონ დოზამდე შეამცირა, და ეს მიწოდების ჯაჭვში გაჩენილი პრობლემებით ახსნა. აშშ ჯანდაცვის მდივანმა ალექს აზარმა განაცხადა, რომ მზად არის მოაგვაროს კომპანიების მიწოდების ჯაჭვში არსებული დეფიციტური კომპონენტების პრობლემები, ოღონდ თუ ამის შესახებ ინფორმაცია დროულად იქნება მოწოდებული, რაც აქამდე არ მომხდარა. ანალოგიური პრობლემები, სავარაუდოდ, შეიძლება ექნეს მოდერნასაც. მიუხედავად ამისა, ვაქცინაციის პროცესის საწყის ფაზაზე ჯერჯერობით მნიშვნელოვანი დეფიციტი არ შექმნილა. მომავალში, კონკრეტულ ვაქცინებზე მოთხოვნის ცვალებადობის პირობებში, არაა გამორიცხული, ზოგიერთ მათგანზე ისევ გაჩნდეს მოწოდების დროებითი პრობლემები.

ლოჯისტიკური პროგლემები – შენახვა

მ-რნმ ვაქცინების შენახვისთვის დაბალი ტემპერატურაა საჭირო. პფაიზერს მოუწია მშრალი ყინულით სავსე სპეციალური ყუთების და სპეციალური კონტეინერების დამზადება. და იმ ქვეყნებშიც, სადაც პფაიზერის და მოდერნას ვაქცინები იქნება ხელმისაწვდომი, აუცილებელია სათანადო შესანახი და გადასატანი სივრცეების და ტრანსპორტირების ლოჯისტიკური ჯაჭვის წინასწარ ზუსტად დაგემვა და მომზადება. მიუხედავად ყველაფრისა, აფრიკის, აზიის და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში ამ ვაქცინების მასობრივი გამოყენება ნაკლებად მოსალოდნელია სწორედ არახელსაყრელი ტემპერატურული რეჟიმის, ისევე როგორც ელექტრონენერგიის მიწოდების არასტაბილურობის და შედარებით მაღალი ფასის გამო. მოდერნას მსგავსი შენახვის რეჟიმი აქვს ჯონსონ და ჯონსონის ვაქცინას, ხოლო სხვა ვექტორული და ინაქტივირებული ვაქცინებისთვის +2-+8° მაცივრის ტემპერატურა მისაღებია და მათ ნაკლები ლოჯისტიკური პრობლემები ემუქრებათ.

ფასი და ხელმისაწვდომობა

უცნაურია, მაგრამ ჯერჯერობით ყველაზე მაღალი ფასი ჩინურ კომპანია სინოფარმს აქვს გამოცხადებული, თანაც შედარებით ცნობილი ტექნოლოგიით დამზადებულ ინაქტივირებულ ვაქცინაზე – 145$. თუმცა, რადგან ამ ფასად კომერციული მიწოდება ჯერ არ განხორციელებულა, ხოლო ჩინეთის მოქალაქეები ვაქცინას უფასოდ იღებენ, ეს შეიძლება მარკეტინგული ხრიკი იყოს.

აქამდე ყველაზე ძვირ ვაქცინად მოდერნა ითვლება, რომლის თითო დოზა, სავარაუდოდ, 25-37$ ეღირება. პფაიზერის ვაქცინის ფასიც მსგავსია – 20$/დოზა, ნოვავაქსი – 16$/დოზა, შედარებით იაფი ჯდება „ჯონსონ & ჯონსონის“ და „სპუტნიკის“ ვაქცინები – 10$/დოზა. ხოლო ყველაზე ხელმისაწვდომი, სავარაუდოდ, ასტრაზენეკა-ოქსფორდის ვაქცინა უნდა იყოს – 3-4$/დოზა.

სერიოზული პრობლემა, რომელზეც მუდმივად მიუთითებს გაერო და ჯანმო, არის ის, რომ პანდემიის დამარცხება ვერ მოხერხდება მისი მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებში დამარცხებით, თუ ღარიბი ქვეყნების მოსახლეობა ვირუსის მუდმივ „თავშესაფრად“ იქცევა და ახალი ტალღები იქედან გავრცელდება. მიუხედავად იმისა, რომ თანაბარ ხელმისაწვდომობაზე ყველა ქვეყნის თუ ბლოკის ლიდერი საუბრობს, ამ პრობლემის გადაჭრა ვერ მოხდება, სანამ მაღალშემოსავლიან ქვეყნებს საკუთარი მოსახლეობისთვის საჭიროებაზე ბევრჯერ მეტი ვაქცინა აქვთ დარეზერვირებული (კანადას – მოსახლეობაზე – 9-ჯერ მეტი, აშშ – 7-ჯერ, ავსტრალიას – 5-ჯერ, ევროკავშირს – 3-ჯერ, იაპონიას – 2-ჯერ მეტი).

საქართველო, ისევე როგორც მსოფლიოს 189 სხვა ქვეყანა, მონაწილეობს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის, ვაქცინების ალიანსის (VI) და გადაუდებელი მზადყოფნის და ინოვაციების კოალიციის (CEPI) მექანიზმში, რომელიც ვალდებულებას იღებს 92 ქვეყანას (მათ შორის – საქართველოს) 2021 წლის ბოლომდე მიაწოდოს 2 მილიარდამდე ვაქცინა მოსახლეობის 20%-ის საჭიროებების დასაფარავად. რამდენიმე ქვეყანა, მათ შორის აშშ და რუსეთი, არ მონაწილეობს ამ პროექტში, ხოლო ჩინეთი მოგვიანებით შეურთდა. 22 ნოემბერს დიდი ოცეულის ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ ვაქცინების განაწილებისას ყველა ქვეყანას ჰქონდეს თანაბარი ხელმისაწვდომობა, და 10 მილიარდი დოლარი გამოჰყვეს კოვიდ-19 საჭიროებებისათვის (დიაგნოსტიკა, მკურნალობა და ვაქცინები).

მრავალფეროვანი არჩევანი

განსხვავებით ადრე არსებული ვაქცინაციის კამპანიებისაგან, კორონავირუსის ვაქცინა უპრეცედენტოა არა მარტო სწრაფი შექმნით და წარმოუდგენელი მასშტაბით, არამედ იმითაც, რომ 300-ზე მეტი ვაქცინის განვითარება დაიწყო და წლის ბოლოს მათგან ათზე მეტი წარმატების სერიოზულ შანსს ინარჩუნებს. ამან შექმნა უპრეცედენტო სიტუაცია, რომ მძიმე დაავადების პრევენციის მიზნით მრავალი არჩევანი გვაქვს. ამ მრავალფეროვნებას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

დადებითია ის, რომ 4 სხვადასხვა ტექნოლოგიით განვითარებულ ვაქცინებს გააჩნიათ გარკვეულად სხვადასხვა მახასიათებლები და თუ ამჯერად მ-რნმ ვაქცინები ყველაზე პირველები მივიდნენ ფინიშის ხაზზე და მათი ეფექტურობაც მაღალია, არაა გამორიცხული, რომ გარკვეული მახასიათებლები სხვა ვაქცინებს უკეთესი შეიძლება აღმოაჩნდეთ.

ვფიქრობ, გამართლებულია მაქსიმალური კონტაქტირება და მოლაპარაკებები, როგორც პერსპექტიული ვაქცინების მწარმოებელ კომპანიებთან, ასევე – ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორ ქვეყნებთან.

რამდენადაც როგორც ანტივაქსერების, ასევე ავტორიტარული რეჟიმების საიდუმლო.

ვაქცინაციის პროცესის სწორი და დროული დაგეგმვა

ვაქცინაციის პროცესის სწორი წარმართვის მიზნით აუცილებელია დროული და სწორი დაგეგმვა:

1) კოვაქსის და შესაძლო ორმხრივი კონტრაქტირების დაზუსტების საფუძველზე ვაქცინაციის დაწყების განსაზღვრა (სასურველია, განისაზღვროს ზუსტი თარიღი). დამატებით რომელიმე სასურველი ალტერნატიული ვაქცინის ორმხრივი კონტრაქტით მიღების შესაძლებლობის აქტიურად მოძიება;

2) მოსახლეობის სეგმენტირება – პოლიტიკის დაზუსტება, რა იქნება პირველი რაუნდის შერჩევის კრიტერიუმები – ჩვეულებრივ, ეს არის ფრონტის წინა ხაზის სამედიცინო პერსონალი, ასევე პანდემიის პერიოდში, კრიტიკულად აუცილებელი პროფესიების პერსონალი (მასწავლებლები, პოლიციელები, მეხანძრეები, სოციალური და კომუნალური სამსახურების მუშაკები), მოხუცებულები (განსაკუთრებით – მოხუცებულთა სახლებში მცხოვრები), იმუნოდეფიციტის მქონე პირები, ქრონიკული დაავადებების მქონე პირები. კატეგორიების დადგენის შემდეგ უნდა მოხდეს კონკრეტული სიების შედგენაც;

3) გამომდინარე წინა პარაგრაფებიდან ვაქცინების ტიპების და რაოდენობის განაწილება სეგმენტებზე, ჯგუფებზე, რეგიონებზე;

4) გადაზიდვა-შენახვის კუთხით არსებული ინფრასტრუქტურის შეფასება/შესაბამისობა კონკრეტული ვაქცინების მოთხოვნებთან, დაგეგმვა – რა იქნება სასწრაფოდ დასამატებელი/შესაცვლელი;

5) ვაქცინაციის პირველი და მეორე დოზის განრიგების და ლოჯისტიკურ პროცესის დაზუსტება/შესაბამისობა;

6) ვაქცინირების ადგილების განსაზღვრა. ზოგიერთი ქვეყანა ამისთვის იყენებს არსებულ ვაქცინაციის ცენტრებს, ამბულატორიულ კლინიკებს, აფთიაქებს. გერმანია ამასთან ერთად გამოიყენებს სპეციალურად გადაკეთებულ სპორტულ დარბაზებს და თეატრებს, ზოგიერთი კი (მაგალითად, იტალია) ამჯობინებს, დაავადების გავრცელების რისკის შესამცირებლად – ახალი და სხვა ტიპის პროცესებისაგან იზოლირებული სივრცეები – აცრების პავილიონები შექმნას. აღნიშნული დანესებულებების ადგილმდებარეობის და ვაქცინაციის კონტინგენტის შესაბამისობა, ტრანსპორტირების ხელმისაწვდომობა უნდა დაზუსტდეს რეგიონების მიხედვით;

7) ვაქცინაციის პროცესში მონაწილე პერსონალის რაოდენობის, განაწილების, უნარ-ჩვევების შეფასება, რეზერვის და ტრენინგის საჭიროებების განსაზღვრა და უზრუნველყოფა;

8) პროცესის საინფორმაციო ტექნოლოგიური და პროგრამული უზურნველყოფა, აუცილებელი სათანადო უსაფრთხოების გათვალისწინებით;

9) საზოგადოების განათლების, ინფორმირების, საკომუნიკაციო, ადვოკატირების და რეკლამირების კამპანიების განსაზღვრა, რომელ სივრცეებში და რა სიხშირით;

10) პროცესის მართვის სტრუქტურის, ასევე – პროცესში საერთაშორისო ორგანიზაციების, ადგილობრივი აქტორების და დონორების ჩართულობის განსაზღვრა;

11) პროცესის ბიუჯეტის განსაზღვრა და დროული გათვალისწინება.

საქართველოში აღნიშნული პროცესის სამუშაოების ნაწილი უკვე დაწყებულია და სასურველია, მოსახლეობა ხედავდეს მიმდინარე პროგრესს და აქტიურად იყო ჩაბმული ამ მნიშვნელოვანი პროცესის ეტაპების მიმდინარეობაში, ისევე როგორც – პერიოდული ანგარიშების განხილვაში.

დაბოლოს, აუცილებელია გვახსოვდეს, რომ იმუნური პასუხი ვაქცინაციის პირველი აცრიდან დაახლოებით 2 კვირის შემდეგ იწყებს განვითარებას, ხოლო ჩამოყალიბება მხოლოდ მეორე აცრიდან რამდენიმე კვირის შემდეგ ხდება. იმუნოლოგთა აზრით, ვაქცინაციის პროცესში ქვეყნის მოსახლეობის მინიმუმ 1/3-ის ჩართვის შემდეგაც კი რამდენიმე თვის განმავლობაში კიდევ მიზანეწონილი იქნება პირბადის ტარება და დისტანცირების დაცვა.

ვირუსთან ერთწლიანი მძიმე ომი ფინალურ ფაზაში შედის. ახლა ყველაზე მეტად საჭიროა ძალების მობილიზება და სწორი გადაწყვეტილებების დროული მიღება, რისთვისაც ინფორმირებული არჩევანი, კრიტიკული ანალიზი, საზოგადოების მობილიზება და სოლიდარობა გვჭირდება. ბოლო ბრძოლა იოლი არასდროს არაა. წინ ჯერ კიდევ ბევრი სიძნელეა გადასალახავი...

ზვიად კირტავა,
პროფესორი, მედიცინის აკად. დოქტორი

ფრაგმენტები საქართველოში ღვინის დაჭაშნიკების ისტორიიდან

„ჰოი, შენ ღვინოვ, ყოვლად ძლიერო!“
გრ. ორბელიანი

ქართველ ხალხს ვაზის მოვლისა და ღვინის დაყენების უძველესი ისტორია აქვს. ვაზი და ღვინო ქართველი კაცის საზრუნავია დასაბამიდან დღემდე. ვაზი მუდამ იყო და არის ხალხის მატერიალური დოვლათის შექმნის უპირველესი წყაროთაგანი. ჩვენმა წინაპრებმა ვაზსა და ღვინოში ჩააქსოვეს მთელი თავიანთი შინაგანი ბუნება და შემოქმედებითი უნარი. ამიტომ იქცა ვაზის მოვლისა და ღვინის დაყენების ხელოვნება ჩვენი ერის კულტურის დიდ საგანძურად.

ხალხის ყოფაში ღვინის მიღებისა და მოხმარების ხანგრძლივი გამოცდილების ნიადაგზე ჩვენი სამშობლოს თითოეულ კუთხეში გამომუშავდა და შეიქმნა ყოველმხრივ დახვეწილი ვაზის ჯიშები, რომელთაც ძირითადად განაპირობეს ცალკეული ტიპის საუკეთესო ღვინოების წარმოება.

სახელმოხვეჭილი ვაზის ჯიშები: რქაწითელი, საფერავი, მწვანე, მცვივანი, ჩინური, ციცქა, ოჯალეში, ჩხავერი, კრახუნა, უსახელოური და სხვა ქართველი მევენახის ღრმა ემპირიული ცოდნისა და უდიდესი შემოქმედებითი პოტენციის ნაყოფია.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ თითოეულ ცნობილ ჯიშს თან სდევს ღვინის დაყენების განსაკუთრებული წესი, რომელიც ხშირად მოცემული ჯიშის გავრცელების არეალს არ სცილდება. ყოველივე ეს ქართული მევენახეობა–მეღვინეობის ზედმიწევნით დახელოვნებაზე მეტყველებს. ღვინის დაყენების ხელოვნება მოწმობს ერის სულიერი კულტურის მაღალ დონეს.

ამიტომ არის საქართველო მიჩნეული ვაზის კულტურის კლასიკურ ქვეყნად. ბუნებრივია ასეთ ქვეყანაში ღვინის ღირსება-ნაკლის შეფასების ხელოვნება ძველი დროიდანვე მაღალ დონეზე იდგა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამეფო კარზე მეღვინეთუხუცესს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ამ თანამდებობას წერილობით პირველად თამარ მეფის ისტორიკოსი იხსენიებს „ქართლის ცხოვებაში“. კერძოდ, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ს უცნობი ავტორი გადმოგვცემს: „... და სამძივარი სხვითა აზნაურის შვილებითა, რომელთა თანა იყო მეღვინეთუხუცესიცა, სეფე–შვილად კლარჯეთისა და შავშეთისა, და გავიდეს მთასა კოლისასა“.

დიდი ივანე ჯავახიშვილი „ქართული სამართლის ისტორიაში“ მიუთითებს „მეღუნიეთ– უხუცესი“-ც პირველად თუმცა მარტო თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებაში არის მოხსენიებული და ამასთანავე მხოლოდ ერთხელ, მაგრამ მაინც ცხადია, რომ მეღვინეთუხუცესობა საქართველოში ძველი მოხელეობა უნდა ყოფილიყო“.

რა თქმა უნდა, მეღვინეთუხუცესად ღვინის ავკარგის მცოდნე დანინაურდებოდა. მართლაც ზოგი მათგანი თავისი საქმის ნამდვილი ვირტუოზი იყო. ასე მაგალითად, ცნობილი ქართველი მწერალი, ეთნოგრაფი და ლექსიკოგრაფი თედო საბიკია თავის თხზულებაში „მოგზაურობანი“ წერს: „გურიელს ერთი მეღვინეთუხუცესი ჰყოლია გვარად ანთაძე. კაცი მეტად დახელოვნებული ღვინის ღირსების გამოცნობაში, რითაც თავი დიდად მოჰქონდა თურმე გურიელსა. ერთხელ სასახლეში უცხო სტუმრებთან ჩამოვარდნილა მის შესახებ ლაპარაკი და გადაუწყვეტიათ, გამოვცდითო. აურევიათ ერთმანეთში სამნაირი ღვინო; ფერსათული (სოფელია), ოსეთური (სოფელია) და ჩაქვური (სოფელია). მოუხმიათ მეღვინეთუხუცესი ანთაძე და უთქვამთ – გამოიცანიო. იმასაც გემო უნახავს თუ არა, შემდეგი პასუხი მოუხსენებია მთავრისათვის:

„ფერად ფერსათულიაო,
გემოდ ოსეთურიაო,
ცოტას მოიჩაქურებსო“.

მოტანილი მასალა ღვინის დაჭაშნიკების მხოლოდ ფაქტზე მიუთითებს, მაგრამ როგორ და რითი წამოებდა დაჭაშნიკება, ამის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით. სულმნათ სულხან-საბა ორბელიანს თხზულებაში „ლექსიკონი ქართული“ მოეპოვება „ჭაშაკები სასმისი ჭურჭლები“. შესაძლოა ისინი ჭაშნაგირთა სახმარებელი იყო. მოგვიანებით სირაჯუბს ჩვეულებრივ „ნიტრით“, ბოთლით უგზავნიდნენ ჭაშნიკს, რაც შედარებით ახალი მოვლენაა.

ძველად ღვინის დაჭაშნიკება ყოველი „უხადი“ ქვევრის მოხდის დროს იცოდნენ. ქვევრიდან ახლად ამოღებულ ღვინოს გამჭვირვალე ჭიქაში ასხამდნენ. მეჭაშნიკე ჯერ „მზეზე გახედავდა“ – ფერს გაუსინჯავდა, ხოლო შემდეგ ყნოსვით „სულს“ შეუმოწმებდა, ბოლოს გემოს გაუსინჯავდა. ამგვარად, ღვინის შაფასება ხდებოდა ფერის, სუნის და გემოს მიხედვით. თუ ამ სამი თვისების ბუნებრიობა დაირღვეოდა, მაშინ ღვინოს რაღაც „ხელი“ (ზადი) ჰქონდა, რომლის გამოცნობა მეჭაშნიკის მოვალეობა იყო.

საინტერესოა ღვინოთა შეფასების ტერმინები. ცნობილი ქართველი მეცნიერი, ქიმიკოსი და მეღვინე ვასილ პეტრიაშვილი თავის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ნაშრომში შენიშნავს – „სამწუხაროდ, კარგად არ ვიცი ამის შესახებ ქართული ტერმინოლოგია; შეიძლება, რომ ჩვენ ამისთვის ცოტა სიტყვები გვქონდეს და ისიც შესაძლებელია, რომ ჩვენი ენა მდიდარი იყოს ამგვარი სიტყვებით; ვინც ამ სიტყვების შეკრებას იკისრებს, ის დიდ ამაგს დასდებს ჩვენს მეღვინეობას. ამასთან ესეც უნდა ვაღიაროთ, რომ ამგვარი სიტყვები მხოლოდ საფრანგეთის ლიტერატურაშია კარგად შემუშავებული და ყველანი იძულებულნი არიან ეს სიტყვები იხმარონ. ამისათვის ვიდრე ჩვენს სიტყვებს და გამოხატულებას შეეკრებდეთ, იძულებული ვართ ფრანგული ტერმინოლოგია მივიშველიოთ“.

შემდგომში, გულისხმიერმა და ამაგდარმა ქართველმა მეცნიერმა თავადვე ბევრი ორიგინალური, ადგილობრივი სიტყვა გამოავლინარითაც საფუძველი დაუდო ქართულ ენაზე ღვინის შეფასების მეცნიერულ ტერმინოლოგიას.

სულხან-საბა ორბელიანს ღვინის ღირსება-ნაკლოვანების დასაფასებლად მრავალი ტერმინი მოეპოვება „ბლანტი მოსქე და მძიმე სასმელი ღვინო“, „დალექება დათხლევება“, „კამკამი წყალი და ღვინო დაწმედილი, გამჭვირვალი“, „მჭახე ღვინო მოძმარებულივით“, „პირმომწიე მაჭარი ტკბილი და პირს მაჭიდარი“.

ღვინოთა დამახასიათებელი ტერმინები ვახუშტი ბატონიშვილის „გეოგრაფიაშიც“ უხვადაა გაბნეული. მისი ცნობით, ატენში „დგება ღვინო წარჩინებული“, ასევე „ღვინო კონდოლისა წარჩინებული“ ყოფილა, ქსნის ხეობის ღვინოები „თხელი და მომჟავო, გარნა სამო სასმელად“, ასევე ლიახვის ხეობაში „თხელი და მომჟავო ღვინო“ სცოდნია, მაგრამ „სასმელად მშვენი“. პანკისის ხეობის „ღვინო კეთილი და კარგი“, ოკრიბული „ღვინო მსუბუქი მხე–გემოიანია“, მთიულები „მოიღებენ ბარიდან ტკბილსა, შთაასხმენ აქა და ლომისას, და დადგების ღვინო კეთილი, თეთრი და ტკბილი“.

ქართული წერილობითი ძეგლებისა და დიალექტების შესწავლა ამ მიზნით უხვ მასალას იძლევა. აღსანიშნავია მაგალითად „ყეფა“ ღვინის სიმაგრის გამოსახატავად. „ცოლიკოურის“ ღვინო ისე ყეფს, რომ ერთი ბოთლი კისერს მოგტეხს“.

ღვინის დაჭაშნიკებასთან დაკავშირებული ფერის გამომხატველი, სუნის მაჩვენებელი და გემოს მაუწყებელი მრავალი ძველი სიტყვა და ტერმინია ჩვენამდე მოღწეული.

ღვინის ბუნებრივი ფერი კარგად დამწიფებული ყურძნის ფერის მსგავსი უნდა იყოს. მაგალითად, მწვანის ღვინო მწვანედ „კამკამობს“, წულუკიძის თეთრისა ყვითლად „ჭვივა“, მცვივანისა „კრიალა თეთრია“ ან „წაღმა თეთრია“, ალექსანდროულის ღვინო „ალექსანდროულის“ ბიმბილსავით გიშრისფერად უნდა იყურებოდეს“.

როცა ღვინო სასურველი ფერის არ არის, იტყვიან „ფერნაცვალიაო“. შესაძლოა „ფერნაცვალობა“ „დაწმენდილობაში“ გადავიდეს, ხოლო თუ ეს არ მოხდა, მაშინ სასმელი „ფერნაკლული“ გახდება, ხოლო ამას „ამღოულობა“ მოსდევს. ეს უკანასკნელი“აჭრით“ შეიცვლება, ხოლო „აჭრილი ღვინო“ გაფუჭებულია.

წინაპართა გადმოცემით – „ყოველნაირ ღვინოს თავისი სუნი აქვს. ქვევრს რომ მოხდიან, ეზოში უნდა გაიგო, რომელ ღვინოს იღებენ. კაი მეღვინე სუნით ტყობილობს, ღვინო რომელი ყურძნისგანაა დაწურული“.

სუნს არჩევდნენ აგრეთვე ღვინის ასაკის მიხედვითაც: მაჭარს „კუხე“ სუნი აქვს, ხოლო ძველ ღვინოს „დამწიფებული“. „ხელნაკრავ“ ღვინოს ან „ნახმელარის“ სუნი ასდის, ან ქვევრის, ან შმორის.

გემოს რაც შეეხება, ღვინო შეიძლება იყოს ტკბილი, მწარე და მჟავე. მაგრამ თითოეული ეს თვისება მეტნაკლები ზომით აქვს ხოლმე გამოხატული. მაგალითად, როცა იტყოდნენ „ღვინო გემოტკბილიაო“ ეს იმას ნიშნავს, რომ მას სიმჟავესთან სასიამოვნოდ შეზავებული სიტკბო ახასიათებს. თუ ღვინოს სიტკბო ოდნავ ჭარბობდა, ამბობდნენ „თაფლის ნაწურივითააო“. ნაკლებ მწარე ღვინოს „მომწაროს“ უწოდებდნენ, ხოლო ძალიან მწარეს „ჟიშხას“, „ჟიშხასავითაა, მამალს თვალს მოთხრისო“ – იტყვიან. გადაჭარბებული მჟავე ღვინო „ტყემლის წვენივითაა, კბილებს კვეთავს“.

შესაძლოა ღვინოს სუნი საუკეთესო ჰქონდეს, მაგრამ გემო არ უვარგოდეს, ამაზე უთქვამთ „ფერი ლალისა და გემო წყლისაო“. მძიმე, უსიამოვნო დასალევ ღვინოს „ძელგი“ (მნკლარტე) ეწოდება.

ღვინოს „ხორციანობაც“ ახასიათებს. ვაზის ზოგიერთი ჯიში სქელ, „ხორციან“, „ძარღვიან“ ღვინოს იძლევა, ზოგიც თხელ „წყალწყალას“, „დაცრეცილს“. ძალიან სქელ ღვინოზე იტყვიან „მოლეღვილიაო“, ხოლო ძალიან თხელზე „გაპარულიაო“. სქელი ღვინო „მძიმედ“ ითვლებოდა, ხოლო თხელი „მჩატედ“.

ღვინის „ხორციანობის“ შემოწმება ჭიქაში ჩასხმისას იცოდნენ: „ჭიქაში ღვინო ზეთივით კი არ უნდა ჩაიღვენთოს“, არამედ „ცინცხლად“ (შხეფების სროლა) ჩავიდეს. გადმოსხმის დროს ისე უნდა გადმოედინოს, რომ კედლებსა და ფსკერზე კვალი დარჩეს.

ღვინის სიმაგრე თრობის სიძლიერით იზომება. ჭაშნაგირიც სასმელს ამის მიხედვით აფასებდა. მაგრამ ღვინოზე იტყოდა „ფინთიხივითაა, ერთ ლიტრას კაცი ვერ გაექცევაო“, – ხოლო სუსტზე „ძაბუნია, საქალებო სასმელიაო“.

ქართველ მწერალს, ლექსიკოლოგიური ნაშრომის „თვალადური ქართულის ჭაშნიკის“ ავტორს გიორგი შატბერაშვილს ხალხში ჩაუწერია საინტერესო ტერმინი „ღვინის გამჭრიახობა, ღვინის გაჭრა, ფხა. იტყვიან „ამ ღვინოს გამჭრიახობა აკლია“ ან „გამჭრიახი ღვინოა?“

მაგარ ღვინოს ყოველთვის მაღალ შეფასებას აძლევდნენ. უძველესი დროის ბერძენი ისტორიკოსი, სწავლული და სტრატეგოსი ქსენოფონტე,რომელმაც ძველი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნეში იმოგზაურა საქართველოში, თავის პოპულარულ ნაშრომში „ანაბასისი“ აღნიშნავს ქართული ღვინის სიმაგრესა და განსაკუთრებულ არომატს.

მაგარი ღვინოები ერთმანეთისგან განსხვავდებიან თავისი ხასიათით. ღვინოთა ტიპს დაყენების თავისებურება განსაზღვრავს. მაგალითად გვაქვს „შუმი ღვინო“, „შუა ღვინო“, „ნაყენები ღვინო“. ყველა მათგანს შესაფერისი ღირსება მოეპოვება. ღვინოთა ღირსების მიხედვით დაყოფა-გამოყენება ქართული სინამდვილისათვის ძველთაძველი მოვლენაა.

მე-11 საუკუნის ქართველი სასულიერო და საზოგადო მოღვაწის გიორგი მთაწმინდელის ერთ-ერთი თხზულებიდან ჩანს, რომ ღვინო იმ დროს ღირსებით სამ ხარისხად იყოფოდა: „სუბუქი ღვინო“, „საშუალო“ და „უმჯობესი“.

წინაპრების გადმოცემით: „ზოგი ღვინო მალე მოგკიდებს ხელს. ორ ჭიქას რომ დალევ, შეიტყობ. ზოგი ღვინო შემპარავია, სვამ და ვერ გებულობ, მერე გაინძრევი და ერთბაშად გეცემა, თუ მაგრად არ იქენი, შეიძლება კიდეც დაგძლიოს. როგორც ძაღლი არ ვარგა შემპარავი, ისე ღვინო. ძალას მაშინათვე რომ გატყობინებს, ის ღვინო ჯობია, იმდენს დალევ, რამდენსაც მოერევი“.

გადაღების ან მგზავრობის დროს ღვინო „იღლება“, „ილახება“. აქედან არის ძველი გამოთქმა „დაღლილი ღვინო“, „გალახული ღვინო“. ნამგზავრ ღვინოს დასალევად მაშინვე არ გამოიყენებდნენ, არამედ დაასვენებდნენ და შემდეგ მიირთმევდნენ, მას უკვე „ნასვენები ღვინო“ ჰქვია.

ამგვარად, ღვინის ღირსება-ნაკლის გამოსახატავად მრავალი ტერმინი მოიპოვება, როგორც წერილობით წყაროებში, ისე ცალკეულ კუთხეთა ცოცხალ მეტყველებაში. ამ მიმართულებით შემდგომი კვლევა-ძიება საინტერესოა და აუცილებელი.

კარგ ღვინოს, როგორც ადამიანს – თავისი სამშობლო აქვს. მშობლიური ადგილების არომატი მასში სამუდამოდ ინახება.

ღვთის განგებით ქართულ ღვინოებს თავისი განუმეორებელი ხასიათი და გემური თვისებები აქვს: ჰარმონიულობა, სიფაქიზე, ხალისიანობა, ლამაზი ფერი, კარგად განვითარებული ბუკეტი და არომატი.

ქართველ მეღვინეთა ყოველდღიურ საზრუნავს წარმოადგენს ღვინის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება და დახვეწა. მეღვინეებს დიდი ვალი აქვთ ქართველი ერის წინაშე, მაღალხარისხოვანი ქართული ღვინოების დამზადების საქმეში.

მაშ ღმერთმა დალოცოს მადლიანი ქართული ვაზი!

ეს ღმერთმა გაუმარჯოს ღვინოს, ქართველი კაცის ჭირისა და ლხინის თანაზიარს!

დიდება შენდა, უფალო იესო ქრისტე! ამინ.

ოთარ დავითაშვილი,
ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია-ცენტრის“ დირექტორის მოადგილე, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი

9 მიზეზი, თუ რატომ უნდა შედიოდეს კიტრი თქვენს კვების რაციონში

კიტრის 95% წყალია. აგრეთვე, ეს პროდუქტი შეიცავს, C, B1, B2 ვიტამინს, პროვიტამინს, ორგანულ მჟავებს, მინერალებს (ფოსფორი, კალციუმი, მაგნიუმი, კალიუმი, რკინა), ფერმენტებს, რომელიც ხელს უწყობს ცხოველური წარმოშობის ცილების ათვისებას. მასში უმნიშვნელო რაოდენობით შედის ცილები, ცხიმები და ნახშირწყლები.

რეგულარული გამოყენების შემთხვევაში, კიტრი დადებითად მოქმედებს ჯანმრთელობაზე. მისი სამკურნალო თვისებები ტუტე ელემენტების, მინერალური მარილების, მიკროელემენტების, ეთერზეთებისა და პექტინების შემცველობითაა განპირობებული.

აგრეთვე, კიტრი იოდის შესანიშნავი წყაროა.

გაგაცნობთ, კიტრის იმ სასარგებლო თვისებებს, რის გამოც ხშირად უნდა მიირთვათ ეს პროდუქტი:

1. იცავს თქვენს ტვინს

კვლევების შედეგად აღმოჩნდა, რომ კიტრი შეიცავს ფიზეტინს, რომელიც ტვინის ნეირონებს სიბერისგან იცავს. აგრეთვე, მას ანტიოქსიდანტური და ანთების საწინააღმდეგო თვისებები გააჩნია. ფიზეტინი აფერხებს მეხსიერების დაქვეითებას და აღქმის უნართან დაკავშირებულ პრობლემებს.

2. ამცირებს სიმსივნური დაავადებების რისკს

ზკიტრი შეიცავს პოლიფენოლებს, რომლებსაც ლიგნანებსაც უწოდებენ. ეს პროდუქტი, მათი შემცველობით ამცირებს ძუძუს კიბოს, პროსტატისა და საკვერცხეების სიმსივნის განვითარების რისკს.

3. ებრძვის ანთებით პროცესს

ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე დადასტურებულია, რომ კიტრში შემავალი სასარგებლო ნივთიერებები აფერხებს ანთებითი პროცესების განვითარებას.

4. მდიდარია ანტიოქსიდანტებით

კიტრი მდიდარია ანტიოქსიდანტებით, ვიტამინი C და ბეტა-კაროტინით. ამასთან, იგი შეიცავს ფლავონებს, რომელიც ცნობილია თავისი ანტიოქსიდანტური თვისებებით, რაც უზრუნველყოფს დაეხმაროს სხეულს ავადმყოფობის, ვირუსებისა და გაციების დროს.

5. ჯანსაღ სუნთქვას მიანიჭებს თქვენს პირის ღრუს

კიტრი ასუფთავებს პირის ღრუს უსიამოვნო სუნის გამომწვევი ბაქტერიებისაგან.

აღმოჩნდა, რომ ეს პროდუქტი ასევე ხელს უწყობს კუჭიდან ჭარბი სითბოს გათავისუფლებას, რომელიც ცუდი სუნის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ითვლება.

6. ებრძვის სტრესს

კიტრი მდიდარია B ჯგუფის ვიტამინებით (B1, B5, B7). ცნობილია, რომ ვიტამინი B ამცირებს შიშსა და სტრესთან დაკავშირებულ პრობლემებს.

7. აუმჯობესებს საჭმლის მონელებას

კიტრის შემადგენლობაში შემავალი ორი ძირითადი კომპონენტი, წყალი და უჯრედისი, უზრუნველყოფს საჭმლის მომნელებელი სისტემის შეუფერხებელ ფუნქციონირებას. ამასთან, თუ გულძმარვა გაწუხებთ, წყლით მდიდარი კიტრის მირთმევა სწრაფად მოგიხსნით ამ შეგრძნებას.

აგრეთვე, კიტრის კანი შეიცავს უხსნად ბოჭკოვანს, რომელიც ხელს უწყობს საკვების ნორმალურ და მოწესრიგებულ გადაადგილებას კუჭ-ნაწლავის ტრაქტში.

8. გეხმარებათ წონის კორექციაში

კიტრი დაბალკალორიული პროდუქტია (ერთი ფინჯანი დაჭრილი კიტრი შეიცავს 16 კალორიას). ამასთან, მასში შემავალი ხსნადი ბოჭკოვანი ხელს უწყობს საჭმლის მონელებას. აგრეთვე, კიტრი შეიცავს დიდი რაოდენობით წყალს, ამიტომ ეს პროდუქტი წმენდს ორგანიზმს, ასტიმულირებს ნივთიერებათა ცვლას, ასუფთავებს ნაწლავებსა და კუჭ-ნაწლავის ტრაქტს.

9. იცავს თქვენს გულს

კიტრი შეიცავს კალიუმს, რომელიც არეგულირებს წნევას. ეს ელემენტი აუცილებელია გულის კუნთის მუშაობისათვის. ზოგადად, კალიუმის სათანადო ბალანსი მეტად მნიშვნელოვანია ორგანიზმის სწორად ფუნქციონირებისათვის.

მეღვინეობის ნარჩენების რაციონალური გამოყენების პერსპექტიული მიმართულებები

წინამდებარე წერილში გაშუქებულია ყურძნის გადამუშავების პროდუქტების მეორადი მატერიალური რესურსების გამოყენების ეფექტურ მიმართულებებთან დაკავშირებული საკითხები.

საქართველოში მევენახეობას და მეღვინეობას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია, იგი მთელ რიგ რაიონებში მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობის ძირითად წყაროს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ნათელია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ყურძნის გადამუშავების პროდუქტების ნარჩენებს და მისი გადამუშავების ორგანიზაციას.

ყურძენი და მისი გადამუშავების შედეგად მიღებული სხვადასხვა სახის პროდუქტი გამოიყენება როგორც ხილი (სუფრის ყურძენი), მისგან მზადდება ქიშმიში, ჩამიჩი, ყურძნის წვენი, ბადაგი, ჩურჩხელა, ტკბილი კვერი, ფელამუში, კომპოტი, მურაბა, ხილფაფა, ჯემი, ცუკატი, მარინადი, ღვინო (სუფრის, შემაგრებული, ცქრიალა, შუშხუნა), საკონიაკე სპირტი, ეთილის სპირტი, ღვინის ძმარი, წიპწის ზეთი, ღვინომჟავა, საკვები საღებავები (ენოსაღებავები), ენოტანინი, ენანტის ეთერი, მედიკამენტები, საკვები საფუარები, საკვები ფქვილი, სასუქი, ხოლო ანასხლავებიდან ქაღალდის ნედლეული, მეცხოველეობის საკვები ფქვილი, სამშენებლო თუ პლასტმასის ნაკეთობანი და ბოლოს, სათბობი.

ყურძნის გადამუშავების პროდუქტების მიღება ყურძნის მტევნიდან იწყება. ყურძნის მტევნის შემადგენელი ნაწილებია: ყუნწი, კლერტი, მარცვლის ღერუკა და მარცვლები. მარცვალი თავის მხრივ, შეიცავს კანს, წიპწას და რბილობს, წვენთან ერთად.

ყურძნის გადამუშავების პროდუქტების მეორადი რესურსების ძირითადი სახეობებია: კლერტი, ჭაჭა (კანი, წიპწა და რბილობის ნაშთი), ლექი, ღვინის ქვა და ბუყი.

ერთმანეთისაგან განასხვავებენ აგრეთვე სხვადასხვა ტექნოლოგიური ციკლის დროს წარმოქმნილ მეორად მატერიალურ რესურსებს, ასეთებია:

- მეღვინეობის სეზონზე უშუალოდ ყურძნის გადამუშავების და ტკბილის მიღების პროცესში მიიღება ისეთი ნარჩენები: როგორიცაა კლერტი, დურდოს გამოწნეხის შედეგად დარჩენილი ჭაჭა – დაწვდომის დროს გამოყოფილი სულფიტირებული ლექი;
- ღვინის დაყენების დროს გამოყოფილი ნარჩენები: ტკბილი, სპირტული დუღილის პროცესში წარმოქმნილი საფუარის ლექი, კახური ტიპის სუფრის თეთრი და ევროპული ტიპის სუფრის წითელი ღვინოების დაყენების დროს მიღებული ჭაჭა, მოდუღარი ტკბილის დასპირტვის დროს გამოყოფილი ლექი, სადუღარი ჭურჭლის შიგა ზედაპირზე გამოკრისტალებული ღვინის ქვა;
- ღვინის დამუშავებისა და დავარგება-დაძველების პროცესების დროს გამოყოფილი ნარჩენები, ღვინის გაწმენდის დროს გამოყოფილი ლექი, ღვინის კალიუფერიციანიდით (სისხლის ყვითელი მარილი) დამუშავების დროს გამოყოფილი ლექი ე.წ. „ბერლინის ლაჟვარდი„, ღვინის სიცივით დამუშავების დროს გამოყოფილი ღვინომჟავა მარილები;
- ღვინის გამოხდის პროცესში გამოყოფილი ნარჩენები: საკონიაკე ღვინომასალებისა და ასევე დეფექტური ღვინოების გამოხდის დროს დარჩენილი ბუყი;
- ყურძნის უალკოჰოლო პროდუქტების წარმოების დროს გამოყოფილი ნარჩენები: ყურძნის წვენის შენახვისა და სიცივით დამუშავების დროს წარმოქმნილი ლექი და გამოკრისტალებული ღვინომჟავა მარილები, ტკბილის განეიტრალების შედეგად გამოყოფილი კალციუმტარტრატი (ღვინომჟავა კალციუმის საშუალო მარილი), ტკბილის მოხარშვის შედეგად დარჩენილი ნალექი.

ყურძნის გადამუშავების მეორადი მატერიალური რესურსების ნუსხა საკმაოდ დიდია, ზოგი მათგანი დიდი რაოდენობით წარმოიქმნება, მათი გადამუშავებით კი სახალხო მეურნეობისათვის მთელი რიგი ძვირფასი პროდუქტები მიიღება.

მეღვინეობის ნარჩენების გადამუშავებით მიღებული პროდუქტები

როგორც ზემოთ აღინიშნა, ყურძნის ღვინოდ გადამუშავებისას წარმოიქმნება ე.წ. მეორადი პროდუქტები (ნარჩენები): კლერტი და ყურძნის ჭაჭა, რომელთა წილი 10-20%-ს შეადგენს, ასევე საფუარის ლექი, ღვინის ქვა, საკონიაკე ბუყი და სხვა.

რაციონალური გადამუშავებით შესაძლებელია ეთილის სპირტის, ღვინომჟავას, წიპწის ზეთის, უალკოჰოლო და მცირეალკოჰოლიანი სასმელების, პოლიფენოლური და პოლივიტამინური კონცენტრატების, საკვები, კოსმეტიკური და ფარმაცევტული დანიშნულების სხვადასხვა პროდუქტების მიღება.

მრავალ ქვეყანაში ყურძნის გადამუშავების მეორადი პროდუქტების გადამუშავების პრობლემა გადაჭრილია.

მწარმოებლები საფრანგეთში, იტალიაში, შვეიცარიაში და სხვა ქვეყნებში ყურძნის წიპწიდან იღებენ საფურაჟე საკვებს, საკვებ ფხვნილს, ენოტანინს და წიპწის ზეთს. წიპწის ზეთის ულტრაიისფერი დასხივებით იღებენ ვიტამინ-ს, ენოტანინის საფუძველზე ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, მედიკამენტოზურ პრეპარატებს, კოსმეტიკურ საშუალებებს, სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზრდის მასტიმულირებელ პროდუქტებს ამზადებენ.

უკანასკნელ წლებში, მეღვინეობის მეორადი პროდუქტებისადმი ინტერესი გაიზარდა პოსტსაბჭოთა სივრცის სახელმწიფოებში. მაგალითად, მოლდოვაში ფუნქციონირებს სახელმწიფო პროგრამა – მეღვინეობის მრეწველობის მეორადი პროდუქტების გამოყენებასა და გადამუშავებაზე. მოლდოვის მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტში ყურძნის ჭაჭიდან მიღებულია ენოქსილი. მის საფუძველზე დამზადებული პრეპარატები საინტერესოა მედიცინისათვის, ვეტერინარიისათვის და სოფლის მეურნეობისათვის. ენოქსილის ანტიმიკრობული თვისებების გამოკვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მისი აქტივობა ბაქტერიების მიმართ უფრო მაღალია, ვიდრე ისეთი ანტიბიოტიკის, როგორიცაა ლევომიცეტინი.

მეღვინეობის ნარჩენების გადამუშავების საკითხს დიდ ყურადღებას აქცევენ რუსეთშიც. სახელმწიფოში მოქმედებს დარგობრივი მიზნობრივი პროგრამა, რომლის მნიშვნელოვან პუნქტს მეღვინეობის მეორადი რესურსების მაღალეფექტური კომპლექსური გადამუშავების უზრუნველყოფა წარმოადგენს. კვების პროდუქტების უმრავლესობა არ შეიცავს კომპონენტების სრულ ნაკრებს, კერძოდ ორგანული მჟავების, რომელიც აუცილებელია სრულფასოვანი კვებისათვის. საკონდიტრო წარმოებაში, ასევე წვენების და სასმელების წარმოებისას ძირითადად მხოლოდ ლიმონის მჟავას იყენებენ, მაშინ როდესაც, დაბალანსებული კვებისათვის აუცილებელია სხვადასხვა მჟავების შეთანადება. მაგალითად, ლიმონის, ღვინის, ასკორბინის მჟავების ოპტიმალური ნაკრები საბოლოო პროდუქტს უფრო სრულფასოვანს ხდის როგორც გემოვნებითი თვისებებით, ისე მისი ფუნქციონალური სარგებლიანობით. ლიმონმჟავას წარმოება ფაქტობრივად აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, მაშინ, როდესაც ღვინომჟავას წარმოება არ არსებობს.

ცნობილია მეღვინეობის ნარჩენებიდან ნატურალური ღვინომჟავას მიღების რამდენიმე ხერხი. ყველა ეს ხერხი ითვალისწინებს პირველ სტადიაზე ღვინომჟავა კალციუმის მარილის მიღებას, შემდეგ მის გადამუშავებას სპეციალიზებულ ქარხნებში.

მიზანშეწონილია მცირე და საშუალო სიმძლავრის ქარხნების მშენებლობა ღვინომჟავას მიღების შესაძლებლობით უშუალოდ მეღვინეობის საწარმოებში. ამ შემთხვევაში ღვინომჟავას ადრინდელი ტექნოლოგიის გამოყენება პრაქტიკულად შეუძლებელია. პერსპექტიულ მიმართულებას წარმოადგენს იონცვლადი ტექნოლოგიის გამოყენება ღვინომჟავას მიღებით უშუალოდ მეღვინეობის ნარჩენებიდან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეღვინეობას საქართველოს ეკონომიკაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია. მას ნედლეულის დიდი პოტენციალი აქვს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ყურძნის გადამუშავების პროდუქტების ნარჩენებს და მისი გადამუშავების ორგანიზაციას.

სადღეისოდ არ არის შექმნილი მეღვინეობის ნარჩენების გადამუშავების საწარმოები, რაც მიუთითებს როგორც რესურსების გამოყენების არაეკონომიურობაზე, ასევე მატერიალური სახსრების დიდ დაკარგვაზე.

მაგალითად, ყურძნის ჭაჭა საშუალოდ ყურძნის პოლიფენოლების 2,4%-ს შეიცავს, რომლებიც მცენარეული წარმოშობის მძლავრი ანტიოქსიდანტებია. მსოფლიო ბაზარზე 1გ პოლიფენოლების ფასი 2 დოლარია. ადვილია ვინაგარიშოთ, თუ რა სახსრები იკარგება თუ გავითვალისწინებთ ყურძნის გადამუშავების წლიურ მოცულობას, რომელიც 100 ათას ტონას აღემატება.

დიდი რეზერვებია ჩადებული მეღვინეობის მეორადი პროდუქტების უტილიზაციის ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავებასა და დანერგვაში. ასე მაგალითად, ყურძნის წიპწიდან საზღვარგარეთის ქვეყნებში ზეთის გამონვლილვისათვის დაწნეხვის და ექსტრაქციის მეთოდებს იყენებენ. ექსტრაგენტის სახით გამოიყენებენ პეტროლეინის ეთერს, ბენზინს და ტრიქლორეთილენს. ამჟამად შემუშავებულია წიპწის ზეთის ექსტრაგირების მეთოდი თხევადი ქლადონით.

დამზოგველი ტემპერატურული რეჟიმების გამოყენება ტექნოლოგიური პროცესების რეალიზაციისას საშუალებას იძლევა მივიღოთ ზეთი მისი ბიოლოგიურად აქტიური თვისებების მაქსიმალური შენარჩუნებით. ასეთი ზეთის გამოყენება პერსპექტიულია კოსმეტიკაში და ფუნქციონალურ კვებაში.

გარდა ამისა, მიღებულია და რეალიზდება მეღვინეობის ნარჩენების გადამუშავების ტექნოლოგიის განვითარების ახალი მიმართულება დაკავშირებული ბიოლოგიურად აქტიური პროდუქტების მიღებით, რომელთა წარმოების რენტაბელობა 100%-ზე მეტია. ასეთებია: პოლიფენოლური კონცენტრატები, მცირეალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები, საკვები, კოსმეტიკური, ფარმაცევტული დანიშნულების პროდუქტები, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები საფუარის ლექის საფუძველზე და სხვა.

როგორც თანამედროვე გამოკვლევების შედეგები აჩვენებს, საფუარები შეიძლება გამოყენებული იქნას ვიტამინების ბიოკონცენტრატების წარმოებისათვის, რომლებიც სხვადასხვა ფერმენტულ სისტემებში კოფერმენტების სახით უშუალო მონაწილეობას იღებენ საკვების დაშლაში და ორგანიზმისათვის აუცილებელი ადვილად შესათვისებელი საკვები ნივთიერებების სინთეზში, რაც უზრუნველყოფს ენერგიით საკმარისად მომარაგებას და განაპირობებს ორგანიზმის გაზრდილ მდგრადობას გარემო არეს არასასურველი ფაქტორების მიმართ.

მოსახლეობის მაღალი ხარისხით სიცოცხლის და შრომისუნარიანობის შენარჩუნების მიზნით განსაკუთრებით აქტუალობას იძენს ნატურალური საკვები ვიტამინების კომპლექსით გამდიდრებული მცენარეული კონცენტრატების გამოყენება. წინასწარი გამოთვლებით ვიტამინური კონცენტრატის წარმოების რენტაბელობა 70%-ს შეადგენს. მოცემული კომპლექსური საკითხების გადასაჭრელად აუცილებელია სახელმწიფოს, მეცნიერების და წარმოების ერთობლივი მოქმედება.

ჩამოყალიბებულ სიტუაციაში სახელმწიფო დონეზე აუცილებელია:

- მევენახეობა-მეღვინეობის სექტორის სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში დაფინანსების ახალი ხერხების დანერგვისთვის ხელშეწყობა;
- შეიქმნას მეღვინეობის ნარჩენების გადამუშავების და უტილიზაციის საწარმოები;
- განხორციელდეს მეღვინეობის საწარმოების თანამშრომლობა სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან, შემუშავებული ტექნოლოგიების შემდგომი დანერგვით.

ამ ღონისძიებების რეალიზაციით მეღვინეობის დარგი გადავა ხარისხობრივად უფრო მაღალ დონეზე. ყურძნის გადამუშავების უნარჩენო ტექნოლოგიების დანერგვა საშუალებას მოგვცემს მივიღოთ სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისათვის საჭირო რიგი პროდუქტები, გავზარდოთ მეღვინეობის საწარმოების ეფექტურობა, სტიმული მივცეთ მათ საექსპორტო ორიენტაციას.

მნიშვნელოვანია ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებაც. მათი გამოყენება ნაციონალური თავისებურებების გათვალისწინებით საშუალებას მოგვცემს მეღვინეობის საწარმოები გახდეს უფრო კონკურენტუნარიანი და გაუმჯობესონ მოღვაწეობის მაჩვენებლები, მიუახლოონ ისინი მსოფლიო დონეს.

მისასალმებელია, რომ წიპწის ზეთის ერთ-ერთი ლიდერი მწარმოებელი საქართველოში ყვარლის მუნიციპალიტეტის კომპანია „მეღვინეობა-ხარებაა“, რომლის პროდუქცია მსოფლიოს 20-ზე მეტ ქვეყანაშია ექსპორტირებული. „მეღვინეობა ხარებას“ წიპწის ზეთის განსაკუთრებულობა კი სწორედ ისაა, რომ კომპანია მას ცივი დაწურვის ტექნოლოგიითა და წიპწის მარცვლების სელექციური მეთოდით ამზადებს. სწორედ ეს ტექნოლოგია უნარჩუნებს ზეთს უნიკალურ სამკურნალო და სასარგებლო თვისებებს.

მიუხედავად იმისა,რომ ცივი დაწურვის დროს გაცილებით ნაკლები რაოდენობის ზეთი მიიღება, კომპანიისთვის პრიორიტეტული მიღებული პროდუქტის ხარისხია და არა რაოდენობა, რადგან თერმული დამუშავებით მიღებული პროდუქტი სამკურნალო კომპონენტების უდიდეს ნაწილს კარგავს, რაც მასზე მოთხოვნადობასაც ამცირებს. ამ საწარმოში ზეთის მიღებისათვის ირჩევა და გამოიყენება წიპწის მხოლოდ ის მარცვლები, რომლებიც სრულიად ჯანსაღია და არ არის ჭაჭასთან ერთად დადუღბული.

ყურძნის წიპწის ზეთი ამცირებს ადამიანის სისხლში ქოლესტერინის დონეს, ამაგრებს სისხლძარღვებს, აქვს ანთების საწინააღმდეგო, რეგენერაციული, სისხლძარღვების გამაფართოებელი მოქმედება, არის ძლიერი ანტიოქსიდანტი, ხელს უშლის თრომბის წარმოქმნას, ათეროსკლეროზის და სიმსივნის განვითარებას.

ყურძნის წიპწაში შემავალი ანტიოქსიდანტები – პროციანიდი, რეზვერატროლი, ვიტამინები E, A, C – გამოდევნიან ორგანიზმიდან თავისუფალ რადიკალებს და აუმჯობესებენ იმუნიტეტს.

ზეთი მდიდარია: ყველა სახის ვიტამინებით, მიკროელემენტებით – კალიუმი, ნატრიუმი, კალციუმი, რკინა – რომელიც გამოიყენება კოსმეტოლოგიაში.

წიპწის ზეთი საუკეთესოა სალათებისთვის და ხორცის, თევზის მარინადებისათვის, გამოირჩევა სასიამოვნო არომატით, ის უნდა დაემატოს გამზადებულ საკვებს, რადგანაც მისი თერმული დამუშავებით იკარგება სასარგებლო ვიტამინები და მიკროელემენტები.

ასეთია წიპწის ზეთის სასარგებლო თვისებები, რომელიც მართლაც უნიკალური და მრავალფეროვანია. კარგი იქნება, თუ კომპანია „მეღვინეობა-ხარებას“ გამოცდილებას ყვარლის მუნიციპალიტეტის ყურძნის გადამამუშავებელი კომპანიები გაეცნობიან და მეღვინეობის ნარჩენების გადამუშავების საწარმოებს შექმნიან, რაც უთუოდ ხელს შეუწყობს მათი ფინანსური რესურსების ზრდას.

მოამზადა
ალექსანდრე გიგილოშვილმა

რა უფინანსდებათ პენსიონერებს საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით

სახელმწიფოს მიერ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით საპენსიო ასაკისთვის დაფინანსებულ გეგმურ ამბულატორიულ მომსახურებას გაგაცნობთ. საყურადღებოა, რომ გეგმური ამბულატორიული მომსახურების მიღება ფინანსდება მხოლოდ იმ ამბულატორიაში ან პოლიკლინიკაში, სადაც მოქალაქეა რეგისტრირებული.

საპენსიო ასაკის პირებისთვის უფასოა: ოჯახის ექიმის ამბულატორიული მომსახურება, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და რისკ-ფაქტორების შეფასება, პრევენციული ღონისძიებები, დაავადებათა დიაგნოსტიკა და მართვა, საჭიროების შემთხვევაში კი, მომსახურება ბინაზე კომპენტენციის ფარგლებში ოჯახის, ან სოფლის, ან უბნის ექიმის დანიშნულებით.

ექიმ-სპეციალისტების მიერ მოწოდებული ამბულატორიული მომსახურება, კერძოდ: ენდოკრინოლოგი, ოფთალმოლოგი, კარდიოლოგი, ნევროლოგი, ოტორინოლარინგოლოგი, გინეკოლოგი, უროლოგი, ქირურგი.

ასევე ექიმის დანიშნულებით ამბულატორიის დონეზე ფინანსდება ინსტრუმენტული გამოკვლევები. კერძოდ: ელექტროკარდიოგრაფია, საჭმლის მომნელებელი სისტემის, შარდსასქესო სისტემისა და მცირე მენჯის ღრუს ორგანოების ექოსკოპია, გულმკერდის რენტგენოსკოპია/რენტგენოგრაფია, ძვლების რენტგენოგრაფია. ამასთან, კომპიუტერული ტომოგრაფია სახელმწიფოს მიერ ასანაზღაურებელი თანხის 90%-ით ფინანსდება.

საპენსიო ასაკის ვეტერანებისთვის ჯანმრთელობის დაცვის საყოველთაო პროგრამით ასანაზღაურებელი თანხა სრულად იფარება.

გარდა ზემოაღნიშნულისა სახელმწიფო სრულად აფინანსებს ექიმის დანიშნულებით ამბულატორიულ დონეზე ჩატარებულ კლინიკურ-ლაბორატორიულ გამოკვლევებს, კერძოდ:

სისხლის საერთო ანალიზი, შარდის საერთო ანალიზი, კრეატინინის, ჰემოგლობინის ან/და ქოლესტერინის მაჩვენებლის განსაზღვრა, პროთრომბინის დრო (ღ), ღვიძლის ფუნქციური სინჯები – ALT, AST, ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციური სინჯი – თშ, განავლის ანალიზის ფარულ სისხლდენაზე, შარდში ლიპიდების განსაზღვრა.

საარჩევნო სუბიექტების საყურადღებოდ!

ადგილობრივი თვითმმართველობების არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიის მიუკერძოებლად და სამართლიანად გაშუქების მიზნით, გაზეთ „ყვარელში“, რომელიც პანდემიის გამო გამოდის თვეში ერთჯერ, ფასიანი რეკლამისათვის გამოყენებულია -3 ფორმატის ორი გვერდი, ანუ 2444 კვადრატული სანტიმეტრი, ხოლო უფასო რეკლამისთვის 444 კვადრატული სანტიმეტრი.

ნებისმიერ საარჩევნო სუბიექტს შეუძლია გამოიყენოს გაზეთის ერთი გვერდის 2/3 ფართობი, რომლის ტარიფია 150 ლარი, ხოლო უფასო პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილია ერთი გვერდის 148 კვადრატული სანტიმეტრი.

წინასაარჩევნო რეკლამისთვის გაზეთის ფართობის შესყიდვა უნდა განხორციელდეს წინასწარი ანგარიშსწორების წესით.

შპს „მედია-ცენტრი“

შეხვედრა, რომელიც ქალბატონ ლეილა ნასყიდაშვილის მოღვაწეობას მიეძღვნა

არიან ადამიანები, რომლებიც ჩუმად, უხმაუროდ, ანგარებისა და პრეტენზიების გარეშე აკეთებენ საქვეყნო და მამულიშვილურ საქმეებს. მათი დანახვა, დაფასება და წარმოჩინება საზოგადოების, განსაკუთრებულად კი ინტელიგენციის საქმეა, რადგან უნდა იცნობდეს ხალხი ამაგდარი ადამიანების ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

დღევანდელი შეხვედრა, მიძღვნილი ლეილა ნასყიდაშვილისადმი, ამ თვალსაზრისით ნამდვილად მნიშვნელოვანია. მან და იმდროინდელმა ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლებმა, რომლებიც სულ რამოდენიმე ადამიანს შეადგენდა, წარმოუდგენელი მუშაობა გასწიეს იმისათვის, რომ მუზეუმს ჰქონოდა ისეთი ფუნქცია და დანიშნულება, საბოლოოდ წარმოჩენილიყო დიდი ილიას, როგორც პოეტისა და მწერლის, საზოგადო მოღვაწის, მოქალაქისა და ერის სულიერი მამის სახე.

ბევრს ვერც წარმოუდგენია რაოდენი შრომა და თავდადებაა ჩადებული, რათა მუზეუმი დღევანდელი სახით მოსულიყო ჩვენამდე, რა ზღვა მასალაა შეგროვილი, განხილული, გაანალიზებული და შესწავლილი.

ლეილა ნასყიდაშვილის აქტიური მონაწილეობით მუზეუმის კოლექტივს გამოკვლეული აქვს სიძველეთა საცავები, სხვადასხვა საარქივო მასალები, მათ შორის თბილისის გიმნაზიისა და პეტერბურგის უნივერსიტეტის არქივებიც, პოეტის ოჯახის დავთრები, მისი უბის წიგნაკები და ჩანაწერები, ასობით წიგნი, წერილები, ჟურნალ-გაზეთები, რომლებიც ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის. გამოცემული იქნა მონოგრაფიები და ნაშრომები, დადგენილი იქნა ჭავჭავაძეანთ გენიოლოგიური შტო და შესწავლილი იქნა ილიას წინაპართა ღვაწლი და დამსახურება ერისა და ქვეყნის წინაშე.

მუზეუმის თანამშრომლებს და მათ შორის, ქალბატონ ლეილას კარგად ჰქონდათ გააზრებული, რომ მუზეუმის არსებობას აზრი არ ექნებოდა საკუთარი ფონდის გარეშე. მოგეხსენებათ ილიას გარდაცვალების შემდეგ გაპარტახდა და გაიძარცვა მისი ქონება. დაიწყეს ნივთებისა და საჭირო მასალების მოძიება. აგროვებდნენ ინფორმაციას, თუ სად და ვისთან არსებობდა ილიას ნაქონი ნივთები, ახალისებდნენ მათ, ვინც უბრუნებდა აღნიშნულ ნივთებს მუზეუმს, აძლევდნენ სიგელებს, უხდიდნენ საქვეყნოდ მადლობას და სხვა. გაწეულმა მიზანმიმართულმა მუშაობამ თავისი შედეგი გამოიღო და მუზეუმმა შექმნა ფოტო სურათებისა და სახვითი ხელოვნების იშვიათი ფონდი. გადაღებული იქნა 2000-ზე მეტი ფოტო სურათი. მოწვეულ სპეციალისტებთან ერთად ხდებოდა ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლებისა და ილიას საყვარელი ადგილების შესწავლა.

იმ პერიოდში ილიას მამა-პაპეული სახლი მთლიანად ამოვსებული იყო მდინარე დურუჯის მიერ ჩამოტანილი შლამით და სანამ სარესტავრაციო სამუშაოები დაიწყებოდა, მუზეუმის თანამშრომელთა ხელით ხდებოდა მისი გაწმენდა და ეზო-კარმიდამოს კეთილმოწყობა.

მათ ნამოღვაწარს ყველას ვერ ჩამოვთვლი. ერთი კი ცხადია, რომ ამხელა ტიტანურ შრომას შესძლებდნენ მხოლოდ ის ადამიანები, რომლებსაც ჰქონდათ სამშობლოს სიყვარული, ცოდნა და მიზანდასახულობა, პასუხისმგებლობა მომავალი თაობის წინაშე.

რაც შეეხება ქალბატონ ლეილას პიროვნულ თვისებებს, იგი იყო უშუალო და უბრალო, მოსიყვარულე, ჰუმანური და მომტევებელი, გარეგნობა და გამომეტყველება ჰქონდა ისეთი, რომ გამოხედვითა და ღიმილით გაგრძნობინებდათ, რომ ყველა მიყვარხართო.

ნათელში ამყოფოს უფალმა ქალბატონ ლეილა ნასყიდაშვილის კეთილშობილებით სავსე სული.

კულტურის განვითარების ცენტრი

სახიფათო სიმპტომები, რომელიც ყველამ უნდა იცოდეს

– ჩვენებები შესაძლოა ყოველდღიურადაც აღგენიშნებათ და ყურადღებას არ უთმობთ

სტატისტიკის თანახმად, სიკვდილიანობის დიდი პროცენტი გულთან დაკავშირებული პრობლემების შედეგია. რისკი განსკუთრებულად იზრდება 60 წლის ზემოთ, დიაბეტით დაავადებულ და ჭარბი წონის მქონე ადამიანებში. თუმცა, სიტუაციის გამოსწორება შესაძლებელია სახიფათო სიგნალების დროულად და სწორად გამოცნობისას.

ყველაზე მეტად გავრცელებული სიმპტომებია: გულმკერდის არეში დისკომფორტი, ტკივილი, რომელიც გადაეცემა მარცხენა ხელში. ეს ინფარქტის კლასიკური ნიშნებია. თუმცა ასევე შეიძლება აღინიშნებოდეს ხველა ვარდისფერი ან ღია ფერის ნახველის გამოყოფით.

თავბრუსხვევა, ორიენტაციის დაკარგვა, ქოშინი – ეს ყველაფერი გულის ცუდად მუშაობის შედეგია. ორგანო ვეღარ ასრულებს თავის ფუნქციებს და ქსოვილები ზარალდება ჟანგბადის უკმარისობით. საყურადღებო სიმპტომია ფეხების შეშუპება, რაც ასევე მეტყველებს გულის არასწორ მუშაობაზე.

გ ა მ ო ს ა თ ხ ო ვ ა რ ი

გივი მირიანაშვილი



ამ ცხოვრებიდან წავიდა გივი მირიანაშვილი, გასული საუკუნის 60-იანი წლების ყვარლის „დუდუჯის“ ერთ-ერთი გამორჩეული და კოლორიტული ფიგურა. იგი ჩვენი ახალგაზრდობის იმ თაობის წარმომადგენელი გახლდათ, თავდავიწყებით რომ უყვარდა ფეხბურთი და „დურუჯის“ შემადგენლობაში მრავალწლიანი ასპარეზობით და თამაშის მისთვის დამახასიათებელი სტილით წარუშლელი კვალი დატოვა რაიონის ფეხბურთის ისტორიაში.

გივი მირიანაშვილი მოწოდებით ფეხბურთელი გახლდათ და ამით ყოველთვის ძალიან ამაყობდა. გამოირჩეოდა დაუოკებელი სპორტული ჟინით და თავდადებით. სწორედ ამიტომ საფეხბურთო კარიერის წლები იყო მისი ცხოვრების ყველაზე ლამაზი და დაუვიწყარი პერიოდი.

დაიბადა 1945 წელს, იზრდებოდა ჭეშმარიტად ქართულ და განათლებულ ოჯახში. დედა – პედაგოგი, მამა – დავით მირიანაშვილი, უნიჭიერესი პიროვნება, გახლდათ ყვარლის, ხოლო შემდეგ ახმეტის რაიკომების პირველი მდივანი, შემდგომში კი ყვარლის ფატმასურის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, – შილდის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე. ბიძა – ანდრო მირიანაშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, უკეთილშობილესი პიროვნება. თავად ჩვენი გივიც კარგად აღზრდილი, იშვიათი ადამიანური თვისებებით შემკული პიროვნება გახლდათ. ყვარელში არასრული საშუალო განათლების მიღების შემდეგ მან სწავლა გააგრძელა თბილისში, სამშენებლო ტექნიკუმში და ბოლოს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ამავე სპეციალობით.

ბავშვობიდანვე უზომოდ იყო გატაცებული ფეხბურთით. ფეხბურთის ანაბანას ყვარლის ფატმასურის საბჭოთა მეურნეობის სტადიონზე, სკოლაში სწავლის პერიოდში ეზიარა. ყველა არდადეგებს კი მშობლიურ შილდაში ატარებდა, სადაც ფეხბურთი ასევე ძალიან პოპულარული იყო და გატაცებით თამაშობდა თანატოლებთან ერთად. თბილისში გადასვლის შემდეგ, ტექნკუმში სწავლის პერიოდში, უკვე სერიოზულად მოეკიდა ამ საქმეს და თანდათან ჩამოყალიბდა ტექნიკურ და იმედის მომცემ მოთამაშედ. ყვარლის „დურუჯში“ იგი 1962 წელს, 17 წლის ასაკში მივიდა, პირველივე გასინჯვაზე ძალიან მოეწონა „დურუჯის“ მაშინდელ მწვრთნელს ზაურ ჩახნაშვილს პირტიტველა ჭაბუკი მაშინვე, უყოყმანოდ დააყენა ძირითად შემადგენლობაში, სადაც შეუცვლელად ითამაშა რამდენიმე სეზონის განმავლობაში და გულშემატკივართა დიდი სიყვარულიც დაიმსახურა.

საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ იგი თბილისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ამ უკუღმართმა ცხოვრებამ გარკვეულწილად დაგვაშორა ერთმანეთს, აღარ გვქონდა ხშირი კონტაქტები, თუმცა ურთიერთობა არასოდეს გაგვიწყვეტია.

ახლა კი... სრულიად შემთხვევით გახდა ჩვენთვის ცნობილი მის თავს დამტყდარი უბედურების შესახებ. უკვე დაკრძალვის შემდეგ გავიგეთ, რომ იგი იმქვეყნიური სამყაროს მკვიდრი გამხდარა. თურმე 21 მაისს გარდაიცვალა და 23 მაისს დაკრძალეს თბილისში, საბურთალოს სასაფლაოზე. ამ დაწყევლილი პანდემიის პირობებში კორონავირუსით დაავადებულა, რომელიც დაუძლევია და გამოჯანმრთელებულა, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ ინსულტი დაემართა, რასაც ვერაფერი უშველეს...

წავიდა გივიც... წავიდა თავის ადრე წასულ თანაგუნდელებთან და მეგობრებთან... სამასასთან, კაკოსთან, სტეგნესთან, ყაჭოლესთან, რომლებიც დიდი ხანი არ არის, რაც უკანასკნელ გზაზე გავაცილეთ, უფრო ადრე კი სხვებიც, ლამის მთელი გუნდი, მივაბარეთ მიწას... გივის წასვლით კიდევ ერთი ძალიან ლამაზი შტრიხი დააკლდა ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს ქალაქს, ჩვენს რაიონს, სადაც დაიბადა, გაიზარდა, შესანიშნავ მოქალაქედ და სპორტსმენად ჩამოყალიბდა და სადაც იგი ძალიან უყვარდათ!

მოსაგონარი და გასახსენებელი ძალიან ბევრი გვაქვს, თუმცა ეს მოგონებებიც ძალიან ტკივილიანი ხდება თანდათან. გვენანება, ძალზე გვენანება გამომშვიდობება კაცთან, რომელიც საიმედო პარტნიორი იყო ფეხბურთის მოედანზე და ასეთივე საიმედო და უღალატო მეგობარი ცხოვრებაში.

დიდი გულისტკივილით და სინანულით ვემშვიდობებით ჩვენს საიმედო და ძვირფას მეგობარს და გულწრფელად ვუსამძიმრებთ მის სათნო მეუღლეს თამარ მამულაშვილს, ერთადერთ პირმშოს მირანდა მირიანაშვილს, დას ნათელა მირიანაშვილს, ასევე ყველა ახლობელსა და ნათესავს ამ უბედურების გამო.

სამწუხაროა, რომ ამიერიდან მის შესახებ მხოლოდ წარსულ დროში მოგვიწევს საუბარი, თუმცა ჩვენს ხსოვნაში ყოველთვის იკიაფებს მისი ხატება – ღიმილიანი და კეთილმოსურნე, იერ-სახით და ლაზათიანი მიხვრა-მოხვრით.

აფსუს, რა ცოტანილა დავრჩით მისი თანაგუნდელებიდან ამქვეყნად. ეს კიდევ უფრო გვიმძაფრებს გივი მირიანაშვილის გარდაცვალებით გამოწვეულ ტკივილს:

„სასაფლაოზე ეფინება მწუხრი,
გვიანი,
საფლავის ქვებთან წვიმის წვეთებს
სვამენ იანი,
შეხედავ სურათს და მოგიხმობს ხმა
იდუმალი:
აქ განისვენებს ღირსეული ადამიანი!“

შეუძლებელია მისი დავიწყება და ვერც დავივიწყებთ, ვიდრე პირში სული გვიდგას. ეს წერილიც ხომ მისი ხსოვნისა და არდავიწყების ცრემლიანი სტრიქონებია, რომელიც მის სამეგობრო წრეს და სანათესაოს კიდევ ერთხელ შეახსენებს, თუ როგორი კაცური კაცობის მაგალითით იცხოვრა და ვალმოხდილი წავიდა ამ წუთისოფლიდან.

ასეთი ყოფილა ჩვენი უკუღმართი წუთისოფლის დაუწერელი ადათები და ამ ცხოვრების კანონზომიერება – თანდათან გვაკლდებიან, გვტოვებენ ჩვენი სიხარულისა თუ ტკივილების თანაზიარი ადამიანები; თანდათან წყდებიან განვლილ ცხოვრებასთან დამაკავშირებელი სიმები. წყდებიან, მაგრამ უკვალოდ არ ქრებიან. მარადისობაში გარდასულნი სითბოდ, სიყვარულად და დაუვიწყარ ხსოვნად რჩებიან ჩვენს გულებში.

სწორედ ამ სითბოთი, სიყვარულითა და მადლიერების გრძნობით ვემშვიდობებით გივი მირიანაშვილს, ავკარგიან და ერთგულ მეგობარსა და თანაგუნდელს!

ფარავდეს მის სულს ნათელი უფლისა და შუქი კელაპტრისა. ღმერთმა სიმშვიდე ნუ მოაკლოს მის სამარადისო განსასვენებელს!

თანაგუნდელები:
ალიმან ლაფაჩიშვილი,
ომარ სეფაშვილი,
თამაზ ჩიტრეკაშვილი,
გივი ნერსეზაშვილი

რა იწვევს ცუდ სუნს პირიდან და როგორ მოვაგვაროთ ეს პრობლემა მარტივად

– გიორგი ღოღობერიძის რჩევები

პირიდან ცუდი სუნი ბევრ ადამიანს აწუხებს. ექიმი გიორგი ღოღობერიძე დეტალურად ხსნის, რა შეიძლება იწვევდეს პირიდან ცუდ სუნს და როგორ უნდა მოვაგვაროთ ეს პრობლემა:

– პირიდან ცუდი სუნი ძალიან გავრცელებული ფენომენია. მას ჰალიტოზი ჰქვია და ის მოსახლეობის, დაახლოებით, მესამედს აღენიშნება. თავად ადამიანმა, ვისაც ცუდი სუნი აქვს პირიდან, ამის შესახებ შეიძლება არც იცოდეს. რადგან ჩვენ პირის ღრუდან საკუთარ სუნს ვეჩვევით. ამიტომ, შეიძლება ამის შესახებ არ ვიცით. ცუდი სუნი პირიდან შეიძლება იყოს დროებითი და მუდმივიც. თუ ალკოჰოლი დალიეთ, მეორე დღეს ცუდი სუნი გექნებათ პირიდ

ან. თუ ნიორი ან ხახვი ჭამეთ ძალიან ბევრი, ასევე თევზი, ხორცეული მიირთვით, ამ შემთხვევაში პირიდან ცუდი სუნი დროებითი მოვლენაა. მაგრამ, შემთხვევათა 25%-ში პრობლემა უკვე ხანგრძლივდება, რაც ხშირად ადამიანში დეპრესიისა და შფოთვის საბაბი ხდება. თუმცა, თუ მიზეზი იცით, ძალიან მარტივად მოაგვარებთ. შემთხვევათა 80%-95%-ში პირიდან ცუდი სუნის ყველაზე ხშირი მიზეზი ენის ზურგია, განსაკუთრებით უკანა ნახევარი. იქ ნაკეცებია და გარდა ამისა, რომ კარგად არ ვენტილირდება ეს ადგილი, ენის ზურგზე ძალიან ბევრი ანაერობული ბაქტერიაა ანუ ის ბაქტერიები, რომელთაც ჟანგბადიანი გარემო არ უყვართ. იქ ბაქტერიები მრავლდებიან და აპკს წარმოქმნიან, რაც პირიდან ცუდ სუნს განაპირობებს. როდესაც ცილოვან საკვებს შეჭამთ, მათში არსებული გოგირდშემცველი ამინომჟავები მათ შლიან და გაძლევენ ძალიან ბევრ გოგირდის და აზოტის შემცველ მყრალ

ნაერთს. გარდა ამისა, ენის ზურგზე ცხიმოვანი მჟავების არსებობაც შეიძლება იყოს მიზეზი.

თუ პირიდან ცუდი სუნი გაქვთ, ენაც უნდა იწმინდოთ. არსებობს სპეციალური სახეხები, რითაც ენის ზურგი ძალიან ყურადღებით უნდა გაწმინდოთ.

ენის გარდა, მეორე ადგილზე ღრძილების დაავადებებია. ყველას, ვისაც ღრძილების დაავადებები აქვს, პოტენციურად შეიძლება ჰქონდეს ცუდი სუნი პირიდან. ამიტომ, ამ პრობლემას უნდა მიხედოთ. გარდა ამისა, ღრძილებს თამბაქო ძალიან ხშირად აზიანებს და ესეც გავრცელებული მიზეზია. ასევე, შეიძლება ენის ზურგი და ღრძილები წესრიგში იყოს, მაგრამ კარიესი გქონდეთ. როცა კარიესია და კარიესული ჯიბეები ყალიბდება, მასში საკვები რჩება, ბაქტერიები იწყებენ დალპობას და ისევ მყრალი სუნი მიიღება. გარდა ამისა, პრობლემაა, თუ კბილები გაკლიათ. რატომ აქვთ ხოლმე პირიდან ცუდი სუნი უფრო ხშირად მოხუცებს? იმიტომ, რომ მათ კბილები აკლიათ. თუ კბილები გაკლიათ, კბილთა შორის სივრცეები ჩნდება. ხეხვის დროს, თუ კარგად არ გაასუფთავეთ, საკვები იქ დარჩება, რაც ცუდ სუნს გამოწვევს. გარდა ამისა, პრობლემაა, თუ კბილებს შორის დიდი სივრცეებია. თუ თქვენ კბილებს შორის დიდი სივრცეები გაქვთ, სპეციალური ძაფებიც უნდა გამოიყენოთ, რომ საკვები ნარჩენებისგან გაწმინდოთ.

პირიდან ცუდი სუნის მიზეზი კიდევ შეიძლება პირის სიმშრალე იყოს. ნერწყვი იდეალური საშუალებაა, პირის ღრუმ საკუთარი თავი გაწმინდოს. თუ პირის ღრუში ნერწვი საკმარისი რაოდენობით არ არის, ძირითადად დილის საათებში იმიტომ, რომ მთელი ღამით პირღია გეძინათ და გამოგიშრათ, ესეც შეიძლება გახდეს ცუდი სუნის მიზეზი, რადგან, როცა პირი მშრალი გაქვთ, უამრავი ბაქტერია არსებობს.

პირის სიმშრალე შეიძლება გამოწვეული იყოს არა მარტო იმით, რომ მთელი ღამით ხვრინავდით, ასევე იმითაც, რომ შეიძლება სვამთ ისეთ მედიკამენტებს, რომლებიც ნერწყვის გამოყოფას აქვეითებს. ასეთებია: ანტიდეპრესანტები, წნევის დამწევები, ანტიალერგიული მედიკამენტები, მჟავიანობის დამაქვეითებლები, რომლებიც გასტრიტისა და წყლულის დროს გამოიყენება და სხვა. თუ მედიკამენტი პირის ღრუში ნერწყვის რაოდენობას გიმცირებთ, პოტენციურად გექნებათ ცუდი სუნი პირიდან. გარდა ამისა, თუ თქვენ მენსტრუალური ციკლის შუა პერიოდში ხართ, მაგ დროს ქალებს შეიძლება პირიდან ცუდი სუნი ჰქონდეთ. მიზეზი ჰორმონებით მოჭარბებაა. ასევე, პირის ღრუს ინფექციები, პირის ღრუში წყლულები. ყველაზე ხშირი მიზეზი პირის ღრუა, ამიტომ პრობლემას დროულად უნდა მიხედოთ. პირიდან ცუდი სუნის მიზეზი შეიძლება ასევე ცხვირის ღრუც იყოს. თუ გაწუხებთ ქრონიკული რინიტი, ან წიაღების ანთება გაქვთ, ამ შემთხვევაში შეიძლება პირიდან ცუდი სუნი გქონდეთ. შემთხვევათა 3%-ში ტონზილები, თუ ანთებულია, ბავშვებში პირიდან ცუდ სუნს იწვევენ. ზოგჯერ საყლაპავის დაავადებებიც იწვევენ პირიდან ცუდ სუნს. ცუდი სუნის მიზეზი იშვიათად შეიძლება იყოს ღვიძლის დაავადებები, იმიტომ, რომ ბევრი ამიაკი გროვდება. ასევე, თირკმლის დაავადებები, ბევრი შარდოვანა გროვდება, შეიძლება შაქრიანი დიაბეტიც იყოს, ამ შემთხვევაში ბევრი გოგირდშემცველი ნაერთი გროვდება. შემთხვევათა 0,5%-ში არსებობს ფსევდო ჰალიტოზი. პაციენტს პირიდან ცუდი სუნი არ აქვს, მაგრამ მას ჰგონია, რომ აქვს. თუმცა, ეს უიშვიათესია.

როგორ მოვაგვაროთ პირიდან ცუდი სუნის პრობლემა: პირველ რიგში, მიზეზი უნდა მოაგვაროთ. თუ კარიესი გაქვთ, მას მიხედოთ. თუ ღრძილების ანთება გაქვთ, იმკურნალოთ. თუ საყლაპავის დაავადებები გაქვთ, ის უნდა მოაწესრიგოთ. თუ ეს პრობლემები არ გაქვთ, მაშინ კბილების რეგულარული ხეხვა უნდა დაიწყოთ. კბილები მხოლოდ გარედან არ უნდა გაიხეხოთ, გახეხვა საჭიროა შიგნიდანაც. გარდა ამისა, სპეციალური ძაფები გჭირდებათ, რომლებიც კბილებს შორის არსებული სივრცეების გასაწმენდად გამოიყენება, იქ რომ საკვები არ დარჩეს. ასევე, ენის ზურგი უნდა გაიწმინდოთ, რისთვისაც სპეციალური ჯაგრისები არსებობს. თუ მოიხმართ თამბაქოს, მოწევა უნდა შეამციროთ. ალკოჰოლის მიღებაც უნდა შეამციროთ. კვლევებმა აჩვენა, რომ დიეტის დაცვა პირიდან ცუდ სუნს ვერ ამცირებს. ამიტომ, შეგიძლიათ, მიირთვათ ყველაფერი, რაც გაგიხარდებათ. არც საღეჭი რეზინებია ეფექტური. ბოლო კვლევებით, ყველაზე ეფექტური საშუალება პირის ღრუს სპეციალური სავლებებია, რომლებიც ანტიბაქტერიული მოქმედებისაა. არსებობს წყალბადის ზეჟანგის სავლებები, სპეციალური ქლორიდები, მაგრამ, ყველაზე ეფექტური და ხშირადდასახელებადი ლისტერინის სავლებებია. ოღონდ, თითოეულ მათგანს სწორი გამოყენება სჭირდება. პირადი ექიმი გეტყვით ზუსტ ინსტრუქციას. ყოველთვის მიმართეთ სტომატოლოგს, თუ გინდათ, რომ პირის ღრუდან ცუდი სუნის პრობლემა მოაგვაროთ იმიტომ, რომ შემთხვევათა 90%-ში მიზეზი სწორედ პირის ღრუშია.

ხელბურთის ისტორიაში ჩემპიონის სახელით ჩაიწერა „ყვარელი“

ჩვენი საუბარი ეხება იმ წარმატებას, რომელიც მოიპოვეს ყვარლელმა ხელბურთელმა გოგონებმა 2021 წლის საქართველოს ჩემპიონატზე.

ჩემპიონატის ფინალში, ყვარელი აჯარას დაუპირისპირდა.

დასაწყისიდანვე კახელები ფავორიტებად ითვლებოდნენ და საქმეს თავიდანვე შესაბამისად მოკიდეს ხელი – უპირატესობა მოიპოვეს და შეხვედრის ბოლომდე აღარ დაუთმიათ – 34:23 – ასეთია საბოლოო ანგარიში.

მოთამაშეთაგან გამორჩეულნი იყვნენ: თამთა თეთრაშვილი, რომელმაც ყვარელს 10 ბურთი შეაწია და მისი თანაგუნდელი ანი სურამლიშვილი – ანის ანგარიშზე 7 გოლია.

თამთა გუნდის კაპიტანია და ამასთანავე, გამორჩეული მოთამაშე. ძალიან საამაყო და სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ყვარელს და ყვარლელებს ასეთი წარმატებული ახალგაზრდები გვყავს, რომლებმაც ჩვენი პატარა ქალაქის სახელი არაერთხელ ასახელეს.

ამ ჩემპიონატის და ყვარლის ხელბურთელ გოგონათა გუნდის სხვა წარმატებების შესახებ თავად **თამთა თეთრაშვილი** *გვესაუბრა:*

– თამთა, უპირველესად გილოცავ ამ დიდ წარმატებას, ვულუცავ მთელ თქვენს გუნდს. როგორ შეხვდით ჩემპიონობას?

ძალიან დიდ მადლობას მოგახსენებთ თქვენ და ჩვენს გულშემატკივარს,რომელიც იზიარებს ჩვენს წარმატებასა და სიხარულს. კმაყოფილები და ამაყები ვართ, რომ კიდევ ერთხელ შევძელით,შეგვენარჩუნებინა ჩვენი გუნდის ღირსება და გავმხდარიყავით ჩემპიონები. (გასულ საჩემპიონატო სეზონზე მოვიპოვეთ უპირობო ლიდერობა, თუმცა COVID-19-ის რეგულაციებიდან გამომდინარე ოფიციალურად ვერ გავხდით ჩემპიონები.)

– რა უძღოდა წინ და როგორ ემზადებოდით ჩემპიონატისთვის?

გულწრფელად რომ გითხრათ, COVID-19-დან გამომდინარე, ჩემპიონატისთვის შესაბამისად ვერ ვემზადებოდით, აგრეთვე ტერიტორიულობის გამო გუნდელებს გვიჭირდა შეკრება და ერთად ვარჯიში, რაც გუნდისთვის უპირველესად მნიშვნელოვანია. ჩემპიონობამდე მისასვლელი გზა რამდენიმე ეტაპად იყოფოდა: „აღმოსავლეთის ტური“, რომელიც ჩატარდა თბილისში, პარალელური რეჟიმით თამაშები მიმდინარეობდა დასავლეთში – „დასავლეთის ტური“, „დასავლეთ-აღმოსავლეთის ტური,ანუ ნახევარფინალი და ბოლო დასკვნითი ტური ფინალი, რომელშიც მონაწილეობა მივიღეთ ოთხმა გამარჯვებულმა გუნდმა.

– თქვენი გუნდი მრავალი წელია წარმატებით ასპარეზობს. პირველ რიგში, რა განაპირობებს თქვენ გამარჯვებებს?

– პირველ რიგში ჩვენს წარმატებას განაპირობებს გუნდურობა, ბრძოლისუნარიანობა, მონდომება, მრავალ წლიანი გამოცდილება. ყოველი სეზონის დასაწყისში ჩვენი მიზანი – ყვარლის გუნდის ჩემპიონობაა,ამისათვის რა თქმა უნდა თამაშზე თავს არ ვზოგავთ არცერთი მოთამაშე.

– რა განცდაა ეს?

– მინდა ხაზი გავუსვა, ჩვენს მრავალჯერ მოპოვებულ ჩემპიონობას, ხელბურთის ისტორიაში ჩემპიონის სახელით ჩაიწერა „ყვარელი“, რაც გვიქმნის შესანიშნავ, ამაღელვებელ და განსაკუთრებულ განცდას. ხოლო ჩემპიონობას უფრო მეტად შევიგრძნობ ყვარელში დაბრუნების შემდგომ როდესაც გახარებული გულშემატკივრებისაგან პირადად ვიღებ მოლოცვებს.

– შენ როგორც გუნდის კაპიტანი, განსაკუთრებულ პასუხუსმგებლობას გრძნობ?

– გუნდის შექმნიდან კაპიტანი ვარ, რათქმაუნდა განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ვგრძნობ, როგორც ჩემი გუნდის წევრების, ასევე ტრენერების მიმართ. ეს მრავალმხრივი კავშირია, ხოლო გუნდის წარმატებისთვის აუცილებელია ერთმანეთის მიმართ პატივისცემითა და ურთიერთშეთანხმებით მოქმედება. დიდი მადლობა ჩვენს მწვრთნელებს ზურაბ ხარებაშვილს და გოჩა ღონიაშვილს მათი დაუღალავი შრომის, მონდომების, ძალისხმევის და დიდი ღვაწლის შედეგია ჩვენი ასეთი წარმატება.

მინდა ხაზი გავუსვა ჩვენ მრავალგზის მოპოვებულ ჩემპიონობას. ხელბურთის ისტორიაში ჩემპიონის სახელით ჩაიწერა ყვარელი.

– თამთა, საინტერესოა როდის და რატომ დაინტერესდი ხელბურთით?

– ღრმა ბავშვობიდან აქტიური ვიყავი, განსაკუთრებით კი მომწონდა სპორტსმენი გოგონები, მიზანიც ეს იყო – გავმხდარიყავი სპორტსმენი. 2011 წლის მიწურულს,13 წლის ასაკიდან დავიწყე ხელბურთის თამაში. კარგად მახსოვს სკოლაში ვიყავი, ერთ-ერთ გაკვეთილზე, ამ დროს ჩემმა ამჟმინდელმა ტრენერებმა ბატონმა ზურამ და ბატონმა გოჩამ ითხოვეს რამდენიმე წუთი,რათა ეცნობებინათ რომ აპირებდნენ ხელბურთის გუნდის შექმნას, როგორც გოგონებში, ასევე ვაჟებში, დაინტერესების შემთხვევაში გაკვეთილების შემდეგ 3 საათზე დაგვიბარეს ყვარლის სპორტსკოლაში. რათქმაუნდა, ძალიან გამიხარდა, რომ შესაძლებელი იყო ჩემი ოცნების ახდენა. ხელიდან არ გავუშვი ეს შესაძლებლობა და წავედი კლასელებთან ერთად. აქვე აღვნიშნავ, რომ ამ მომენტამდე, გაკვეთილების შემდეგ, ოჯახისგან დაუკითხავად არსად არ წავსულვარ, რამდენადაც მიხაროდა და ბედნიერი ვიყავი, იმდენად ძალიან გავნიცდიდი, რომ არ ენერვიულათ მშობლებს. არ ვიცოდი როგორ მიიღებდნენ ჩემს გადაწყვეტილებას. საბედნიეროდ ყველაფერი კარგად დასრულდა.

– რამდენი წლის ხარ და ხელბურთის გარდა რით ხარ დაკავებული?

– ვარ 22 წლის,სამართლის ფაკულტეტის სტუდენტი, სტაჟირებას გავდივარ ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების განყოფილებაში, ასევე ჩემს ინტერესის სფეროს წარმოადგენს საარჩევნო სამართალი,ყოველ არჩევნებზე აქტიურად ვარ ჩართული,2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ვიკავებდი ყვარლის ერთ-ერთი უბნის თავმჯდომარის თანამდებობას.ხოლო 2016 წლიდან ვმუშაობ მსოფლიოსა და ევროპის ტურნირებზე,სტატისტიკოსად.

– როგორია, უახლოესი გეგმები და სამომავლო პერსპექტივები თქვენი გუნდის?

– გუნდის უახლოეს გეგმებში შედის პლიაჟის ხელბურთის ჩემპიონობა,რომელიც მალე დაიწყება,თარიღი ჯერ-ჯერობით ჩვენთვის უცნობია.აქვე აღვნიშნავ,რომ პლიაჟის ხელბურთის ტურნირი ჩატარდა 7-ჯერ,ხოლო აქედან 6-ჯერ მოვიპოვეთ ჩემპიონობა.

– ყველაზე დასამახსოვრებელი ეპიზოდები რა შეიძლება გაიხსენო რაც ხელბურთს უკავშირდება?

– ჩემთვის დასამახსოვრებელ ეპიზოდებს რაც შეეხება, გასულ წლებში თბილისში, ჩატარდა ჯემალ ცერცვაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი, სადაც ვმონაწილეობდით საქართველოს ორი ნაკრები, სომხეთი (განსაკუთრებით მახსოვს სომხეთთან თამაში, 14 გოლი გავიტანე), აზერბაიჯანი და პოლონეთი, თამაშების შემდეგ გაიმართა დაჯილდოვება, რა დროსაც ჩემს პოზიციაზე, „საუკეთესო ხაზის“ ტიტული მომანიჭეს (კიდევ რამდენჯერმე გავხდი აღნიშნული ტიტულის მფლობელი,სხვადასხვა წლებში) ამ დროს ქომაგების მხრიდან უწყვეტად ისმოდა ტაშის ხმა,შეძახილები, მოლოცვა, ყურში ახლაც ჩამესმის.

2015 წელს ვმონაწილეობდი ევროპის ზაფხულის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალში. კიდევ გამოვყობ თურქეთში მოგზაურობის ეპიზოდს, მე და ჩემი გუნდელი ვიმყოფებოდით იქ. ახალ გუნდთან ერთკვირიანი ვარჯიშის ბოლოს, გვქონდა მატჩი, ასაკით ჩვენზე გაცილებით უფროსებთან. მართალია წავაგეთ, მაგრამ (10 გოლი გავიტანე) ძალიან მოვეწონეთ ტრენერსა და გუნდელებს, აღფრთოვანებულები იყვნენ ჩვენი თამაშით. საქართველოს ნაკრები აზერბაიჯანში ხშირი სტუმრობით გამოვირჩეოდით, რადგან ვმონაწილეობდით აზერბაიჯანის ჩემპიონატში, კარგი თამაშისთვის აზერბაიჯანის ჟურნალისტთანაც ჩავწერე ინტერვიუ. ასევე, ავღნიშნავ 2021 წლის საქართველოს ჩემპიონატს, ვითამაშე 5 თამაში და ჩემს ანგარიშზე 54 გოლია, ხოლო ფინალში, ქარიშხალასთან გავიტანე 10 გოლი, რის გამოც მოვიპოვე ბომბარდირობა.

– თამთა, კიდევ ერთხელ, გისურვებ წარმატებებს შენ და შენ გუნდს. კიდევ მრავალჯერ გესახელებინოთ ყვარელი.

ესაუბრა
ია გიგიაშვილი

...პირიქით, საინტერესო, შემოქმედებითი საქმიანობაა და ვურჩევდი ისწავლონ...

საბაზრო ეკონომიკამ მოგვიტანა, საქართველოში სპეციალობებს სარფიანობისა და პრესტიჟულობის მიხედვით არჩევენ, ძალიან ბევრი სფერო დასაქმების მხრივ არაპერსპექტიულია. არახელსაყრელი პროფესიების ჩამონათვალი არცთუ მცირეა: ჰუმანიტარული მიმართულებები, პედაგოგობა, ფილოლოგობა და რაც ყველაზე მეტად საჭიროა დღევანდელ გაჭირვებულ ცხოვრებაში, ესენია: ტანსაცმლის და ფეხსაცმლის შეკერვის პროფესიები.

თუ გავაანალიზებთ ყვარლის მუნიციპალიტეტში არსებულ მდგომარეობას, უმალ დავრწმუნდებით, რომ ტანსაცმლის, ფეხსაცმლის მკერავების დეფიციტია და მოსახლეობა იძულებულია ასეთი საქმის მომსახურებისათვის ქალაქებში ეძიოს ხელოსნები.

არადა, ათიოდე წლის წინათ ქ. ყვარელში და სოფლებში ამ სფეროში უამრავი ადამიანი მუშაობდა. ყველას გვახსოვს ფეხსაცმლის მკერავ-შემკეთებლები ქ. ყვარელში ძმები – ვალერიან და შოთა ოთარიშვილები, დავით შიუკაშვილი, აშოტ ერვანდიჩი, შილდაში იოსებ ჩიტაშვილი და ყვარლის მუნიციპალიტეტის მასშტაბით სხვა უამრავი ადამიანი, რომლებიც ჩვენს მოსახლეობას უანგაროდ ემსახურებოდნენ. ფაქტია, რომ დღეს ამ პროფესიების მიმართ ახალგაზრდა თაობა გულგრილია და დაინტერესებას არ იჩენს.

საბჭოთა კავშირის პერიოდში კი განათლების სისტემა ყოველნაირად ცდილობდა მკერავის, ზეინკლის, ხარატის, ელექტრომონტიორის, კალატოზის, ტრაქტორისტის პროფესიებს სკოლიდანვე დაუფლებოდნენ. გარდა ამისა, პროფტექნიკურ სასწავლებლებში, რომლებიც თითქმის ყველა რაიონში ფუნქციონირებდნენ, უამრავი ახალგაზრდა ეუფლებოდა ამ სახის სპეციალობებს და სამუშაო ადგილების შოვნა ასე გაძნელებული არ იყო, როგორც დღესაა.

უკანასკნელ პერიოდში საქართველოს მთავრობა ძალისხმევას არ იშურებს პროფსასწავლებლების ქსელის გაფართოებისთვის, მაგრამ თუ არ იქნება საზოგადოების მხარდაჭერა და საჭირო პროპაგანდა, ახალგაზრდობას ძალით ვერ ვუბიძგებთ და ვერც შევასწავლით ამ მეტად მნიშვნელოვან პროფესიებს, რომლის დეფიციტს ყველგან ვხდებით. ამ საქმიანობის პროპაგანდაში უდიდესი როლი უნდა შეასრულოს მასმედიამაც. ამიტომაც, ვცდილობთ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე წარმოვაჩინოთ მომსახურების სფეროში დასაქმებული ადამიანების მოღვაწეობა და დავაფასოთ მათი შრომა, რომელსაც ათეული წლებია ეწევიან.

გაზეთის ახალი ნომრის რესპოდენტად შევარჩიე ყვარლის მკვიდრი, რომელიც ოთხ ათეულ წელზე მეტია პატიოსნად ემსახურება ქალაქ ყვარლის მოსახლეობას და კლიენტები ყოველთვის ემადლიერებიან. იმდენად დაკავებულია პროფესიული და ოჯახური საქმიანობით, რომ ინტერვიუს ჩასაწერად ძლივს დავითანხმე. ეს გახლავთ ყველასათვის უსაყვარლესი პიროვნება, პროფესიით ტანსაცმლის მკერავი ზურაბ ქაქალაშვილი.

– ბატონო ზურაბ, რა გზა გაიარეთ, სანამ მკერავის პროფესიას ეზიარებოდით?

– ყვარლის მესამე საშუალო სკოლის დამთავრების შემდგომ სწავლა გავაგრძელე ენისლის პროფტექნიკურ სასწავლებელში, სადაც მივიღე ტრაქტორისტ-მემანქანის სპეციალობა. მუშაობა დავიწყე მძღოლად და მალევე გამიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში.

– მკერავის პროფესიის შესწავლა ვინ გირჩიათ და ვინ იყვნენ თქვენი მასწავლებლები?

– სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ ისევ მძღოლობისკენ მქონდა მიდრეკილება, მაგრამ ჩემი აწ განსვენებული ძმა დავითი სულ მიჩიჩინებდა მესწავლა კერვა, მაგრამ ვერ დამიყოლია, მაგრამ იმდენი მელაპარაკა, რომ დავინტერესდი. დავიწყე დაკვირვება ინდ-კერვის ჯიხურებზე და მივხვდი, რომ ეს ადამიანები შეძლებულად ცხოვრობდნენ და გადავწყვიტე მეცადა ბედი. მივედი გოდერძი სეფაშვილის სამკერვალო ჯიხურში და იქ დამხვდა ერთ-ერთი გამორჩეული ამ პროფესიის კაცი ბატონი ემზარი, რომელმაც მომისმინა (ღმერთმა მისი სული გაანათლოს), დამსვა საკერავ მანქანასთან, გამომცადა და ბოლოს მითხრა – შენ მართლაც გასაშვები არ ხარო. სამ თვეში შევისწავლე შარვლის გამოჭრაც და შეკერვაც. მალევე ქირით გავხსენი დამოუკიდებლად ჯიხური, უამრავი ადამიანი მთხოვდა მომსახურება გამეწია, სიმართლე გითხრათ, ამას არ ველოდი. სამოქალაქო ომის დროს გაჩნდა პრობლემები, ქვეყანა კრიზისმა მოიცვა, ხალხს გაუჭირდა, მაგრამ საკუთარი ჯიხურის მშენებლობა მაინც დავიწყე, ზოგიერთებს უკვირდათ და მეკითხებოდნენ ომისა და სიდუხჭირის პირობებში რაღად გინდა ჯიხურიო. დარწმუნებული ვიყავი, რომ ადამიანებს პროფესიონალი მკერავები ყოველთვის დასჭირდებოდათ. იყო მომენტებიც, როცა ამ საქმისათვის თავის დანებებაზეც მიფიქრია, მაგრამ ვერ შევძელი. ვხედავდი სამკერვალოდან კმაყოფილი და ბედნიერი სახით მიმავალ ადამიანებს და ეს მამხნევებდა.

– თქვენი პროფესიის ადამიანები ერთეულებიღა შემოგვრჩნენ, ახალგაზრდებს თუ მოუმართავთ თქვენთვის სამკერვალო საქმიანობის შესწავლისთვის?

– ამ საქმიანობისადმი ახალგაზრდები ინტერესს არ იჩენენ. უმეტესობა ფიქრობს, იოლი და პრესტიჟული პროფესიით დასაქმდეს, თუნდაც ხელფასი დაბალი იყოს. ალბათ რთული ჭგონიათ, პირიქით, უაღრესად საინტერესო, შემოქმედებითი საქმიანობაა და ვურჩევდი ისწავლონ, მთელი ცხოვრება სამსახური და ოჯახისთვის საარსებო წყარო გარანტირებული ექნებათ.

– და ბოლოს, კმაყოფილი თუ ხართ თქვენი საქმიანობით?

– უკმაყოფილო არანაირად არ ვარ, შევქმენი ჩემთვის საოცნებო ოჯახი, შვილებს უმაღლესი სასწავლებლები დავამთავრებინე, რომლებიც ცხოვრობენ და მუშაობენ დედაქალაქში. ახლა მეორე შვილიშვილს ველოდებით. ვცდილობთ ჩვენი საქმიანობით კარგი მომავალი შეუქმნათ.

მადლობას გიხდით რედაქციას, რომ ჩემი საქმიანობით დაინტერესდით და ცდილობთ პოპულარიზაცია გაუწიოთ და წარმოაჩინოთ ამ მეტად მნიშვნელოვანი პროფესიის საჭიროება, რათა ადამიანებმა იოლად შეძლონ სამკერვალო მომსახურებით სარგებლობა.

– წარმატებებს გისურვებთ ბატონო ზურაბ!

ესაუბრა
ალექსანდრე გიგილოშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86